საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

შაბათი-კვირა, 11-12 იანვარი. 2020 წ. №4 (8930) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭირებით ბუტითის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დონალდ ტრამპი: ყველამ თავის ქვეყანას მიხედოს!

8

ილია მეორე უკრაინის თვითმფრინავის კატასტროფის გამო მწუხარებას გამოთქვამს

თეირანთან მომხდარი ტრაგედიის გამო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სამძიმრის წერილი გავრცელა. ილია მეორე უკრაინის პრეზიდენტს და იმ ქვეყნის ხელისუფლებას უსამძიმრებს, რომელთა მოქალაქეებიც ბორტზე იმყოფებოდნენ.

„გვინდა, გამოვხატოთ ჩვენი გულისტკივილი 8 იანვარს თეირანში, უკრაინის თვითმფრინავის კატასტროფის გამო, რასაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ვუსამძიმრებთ გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს და ახლობლებს, ვუსამძიმრებთ უკრაინის პრეზიდენტს და ასევე იმ ქვეყნის ხელისუფალთ, რომელთა მოქალაქეებიც ბორტზე იმყოფებოდნენ“, – აღნიშნულია ილია მეორის სამძიმრის წერილში.

ყველამდე ჩასვრილი ნაცები და ევრონაცები

3

მატყუარა ხელისუფლება და უტყუარი ოპოზიცია

ვინ, ვინ ფუთფუთებს მანდ?!

4

გვარამია 500 ლარით დააჯარიმეს...

ფესტივალი ბათუმში



7

იენს სტოლტენბერგი: შავი ზღვის რეგიონი ნატოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა...

– **ამის** შესახებ ალიანსის გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა. მისივე თქმით, სწორედ ამიტომ ალიანსი რეგიონში როგორც ხმელეთსა და ზღვაზე, ასევე საჰაერო სივრცეში ზრდის მის ყოფნას. გაძლიერებულია პატრულირება ჰაერში, შავ ზღვაში გაზრდილია სამხედრო ხომალდების ყოფნა, ისევე როგორც მიწაზე, სახმელეთო ძალები.

„ჩვენ მუდმივად ვაფასებთ ჩვენი ყოფნის შემდგომი გაძლიერების საჭიროებას“, – აცხადებს გენერალური მდივანი და აღნიშნავს, რომ ალიანსის წევრებიდან სამი – რუმინეთი, ბულგარეთი და თურქეთი სწორედ შავი ზღვის რეგიონის ქვეყანაა, და ამავე რეგიონში მდებარეობს ასევე ნატოს ორი მჭიდრო პარტნიორი ქვეყანა უკრაინა და საქართველო, რომელთანაც ალიანსი მჭიდროდ თანამშრომლობს, ატარებს წვრთნებს და ეხმარება მათ. იენს სტოლტენბერგი ასევე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომელმაც განაპირობა ნატოს კოლექტიური თავდაცვის გაძლიერება ბოლო წლებში – ეს არის რუსეთის მიერ ყირიმის უკანონო ანექსია.

გერმანიამ ახალი სატრანსპორტო საშუალებები გადმოგვცა

გერმანიამ საქართველოს თავდაცვის ძალებს 12 ახალი სატრანსპორტო საშუალება გადასცა.

ავტოტექნიკის გადაცემის ოფიციალურ ცერემონიალზე მოწვეულ სტუმრებს სიტყვით საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მიმართა და გერმანულ მხარეს დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა.

„გერმანულმა მხარემ, „შესაძლებლობების გაფართოებისა და გაძლიერების ინიციატივის“ ფარგლებში, თანამედროვე ტექნიკური საშუალებები გადმოგვცა, რაც თავდაცვის ძალების ლოჯისტიკურ შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოსა და გერმანიას შორის მჭიდრო მეგობრულ ურთიერთობებზე გაამახვილა ყურადღება.

„გერმანია არის საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აქტიური მხარდამჭერი. ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ გერმანიასთან არსებულ წარმატებულ თანამშრომლობას ქვეყნის დემოკრატიული განვითარების, მოდერნიზებისა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესში“, – განაცხადა მინისტრმა.

საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა ჰუბერტ ქნირშმა კი, სიტყვით გამოსვლისას საქართველოსა და გერმანიას შორის თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ შესაძლებლობა მომეცა, ლოჯისტიკური დანიშნულების 12 სატრანსპორტო საშუალება საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის გადამეცა. პროექტი, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ვამზადებდით, მიზნად ისახავს თავდაცვის ძალების ლოჯისტიკური შესაძლებლობების განვითარებას. მათი საჭიროებების შესახებ ინფორმაცია საქართველოს თავდაცვის ძალებმა მოგვაწოდა. როგორც ხედავთ, შევიძინეთ 12 ერთეული სატვირთო ავტომობილი. მათ ნაწილს აქვს წყალმზიდის ფუნქცია, ნაწილს კი კონტეინერმზიდის. მათი გამოყენება შესაძლებელია სამხედრო მისიებში, საერთაშორისო მისიებში, ჰუმანიტარული დახმარებისთვის და ასევე, სამოქალაქო მიზნებისთვის, მაგალითად, სტიქიური უბედურებების დროს. მოხარული ვარ, რომ გერმანია-საქართველოს თანამშრომლობის წელი ამ ღონისძიებით დავიწყეთ. საქართველოს თავდაცვის ძალებს ვუსურვებ წარმატებას“, – განაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა ჰუბერტ ქნირშმა.

ოკუპანტი რუსების წაქეზებით გაბრიყვებული აფხაზები ერთმანეთის დაერივნენ!

ჯემალ გამახარია: ოკუპირებული აფხაზეთის „პრეზიდენტის რეზიდენციაზე“ იერიში კრიმინალურმა ავტორიტეტებმა მიიტანეს

ოკუპირებულ **აფხაზეთში „პრეზიდენტის რეზიდენციაზე“ კრიმინალურმა ავტორიტეტებმა და პოლიტიკურმა ძალებმა ერთობლივად მიიტანეს იერიში,** — ამის შესახებ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ჯემალ გამახარიამ ჟურნალისტებთან საუბრისას გუშინ განაცხადა.

„ის, რაც გუშინ მოხდა და დღესაც გრძელდება, არ იყო მოულოდნელი. ყველა საუბრობს, რომ გუშინდელი მოვლენები არჩევნების გაყალბებამ გამოიწვია. ეს, რა თქმა უნდა, სწორია, თუმცა, გუშინდელი მოვლენების ხელმძღვანელი და ხელმძღვანელები იყვნენ არა პოლიტიკური პარტიები, იგივე კვიციინია, რომელმაც წააგო არჩევნები ხაჯიმბასთან, გაყალბების შედეგად, არამედ ერთი თვის წინ მოკლული კრმინალების ნათესავები, ახრა ავიძბას ხელმძღვანელობით. ახრა ავიძბა ცხოვრობს სოჭში, არის აფხაზი და დონეცკში იბრძვის რუსების მხარეს. ის კრიმინალური სამყაროს ერთ-ერთი აღიარებული წარმომადგენელი და აფხაზეთში ორი მოკლული ახალგაზრდის ასტამურ შამბასა და ალხაზ ავიძბას ახლო ნათესავია. ის დიდი ხანია, აკეთებს მუქარის შემცველ განცხადებებს ხაჯიმბას მისამართით, რადგან იცით, რომ სწორედ ხაჯიმბას ორი მცველი არის დაკავებული იმ მკვლელობებთან დაკავშირებით“, — განაცხადა ჯემალ გამახარიამ. მისივე თქმით, პროცესები აფხაზეთში ამ დრომდე ახრა ავიძბას ხელმძღვანელობით მიმდინარეობს.

ჯემალ გამახარიას თქმით, ოკუპირებულ აფხაზეთში იმყოფება ასევე „ოპოზიციის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი ასლან ბჟანიაც.

„გუშინ ჩავიდა მოსკოვიდან ასლან ბჟანია, ადამიანი, რომელსაც უნდა მიეღო არჩევნებში მონაწილეობა ოპოზიციის სახელით და, რომელიც მოწამლეს, რის გამოც ვეღარ შეძლო დე ფაქტო არჩევნებში მონაწილეობა. ბჟანია ახალი წლის წინა დღეებშიც იყო ჩასული აფხაზეთში, რამდენიმე შეხვედრა გამართა თავის თანამოაზრეებთან და ასეთი განცხადება გააკეთა, რომ 2020 წელს ჩვენ უნდა ჩავატაროთ ახალი, დემოკრატიული, დამოუკიდებელი არჩევნები. მე პირდაპირ კავშირს ვხედავ ამ განცხადებას, ავიძბას მოქმედებასა და ამ მოვლენებს შორის“, — განაცხადა ჯემალ გამახარიამ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ ე.წ. პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა განწირულია და თანამდებობას აუცილებლად დატოვებს.

„რაც შეეხება მოსალოდნელ პროცესებს, ხაჯიმბა აუცილებლად წავა, ის განწირულია. ბჟანიას განცხადებები, მისი ჩამოსვლა და გალიდერება აჩვენებს, რომ რუსეთი მაინცდამაინც თავს არ მოიკლავს

ხაჯიმბას გამო. რუსეთის გარეშე იქ ვერავინ ხელისუფლების სათავეში ვერ მოვა. ყველა, ვინც პოლიტიკურ ასპარეზზეა, რუსეთის კაცია. სხვა მიმართულების ადამიანი, მაგალითად, პროქართული მიმართულების, ვერ მოვა სათავეში.

რუსეთს აწყობს ხაჯიმბა, ამიტომაც შეუწყო ყველანაირად ხელი, რომ გაპრეზიდენტებულიყო, თუმცა თუ ვერ ინარჩუნებს ხელისუფლებას, ამ შემთხვევაში მას არაფრად არ უღირს ხაჯიმბა, მას აფხაზეთი უნდა და არა ხაჯიმბა. მე ვფიქრობ, რომ ეს მოხდება არა სასამართლოს გზით. სასამართლომ რომ ჩათვალოს არჩევნები არალეგიტიმურად, ეს პირდაპირ რუსეთს ურტყამს, ამიტომ სასამართლოს რუსეთი ასეთ გადაწყვეტილებას არ მიღებინებს. შემდეგი განვითარება მოვლენების ახალი დე ფაქტო არჩევნებია“, — განაცხადა ჯემალ გამახარიამ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თქმით, საქართველოსთვის ამ პროცესებით მნიშვნელოვანი ცვლილება არ მოხდება.

„ვერ იტყვი, რომ საქართველოსთვის ამ პროცესებით მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდება. პროცესები აჩვენებს, რომ არავითარი დამოუკიდებელი აფხაზეთი არ არსებობს. აფხაზი საზოგადოება დარჩება ისეთივე გაღატაკებულად კრიმინალური ძალის ხელში. ამას გვიჩვენებს ბჟანიას გალიდერებაც, რომელიც ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლად მოგვევლინა, თუმცა გვერდს უმაგრებს კრიმინალური სამყაროს ლიდერი. დე ფაქტო ხელისუფლებისგან არ ველოდებით რადიკალურ ცვლილებას, მაგრამ საზოგადოების განწყობა და ფასეულობების გადაფასება რომ დაჩქარდება, ამას ველოდები.

დეკემბერში სოხუმში იყო ჩამოსული დუმის დელეგაცია, ერთ-ერთი მოთხოვნა, რომელიც ულტიმატუმის ფორმით დააყენეს, იყო უძრავი ქონების რუსეთის მოქალაქეებზე მიყიდვის უფლების დაშვება. რუსეთის მთელი ძალისხმევა ამისკენ არის მიმართული. თუ ამ უფლებას დაუშვებენ, ერთი წელი იქნება საჭირო აფხაზეთის უძრავი ქონების შესაძენად და ჩვენ საბოლოოდ დავკარგავთ ამ ტერიტორიას. ამიტომ, ჩვენ თანავუგრძნობთ ყველა მოძრაობას, თუ ის დაიცავს აფხაზების ინტერესებს. ახალი, ვინც მოვა აფხაზეთის „ხელისუფლებაში“, რუსეთი წაუყენებს ამ მოთხოვნას და მეორე მოთხოვნად ინტეგრაციის გაღრმავებას, ანუ რუსეთის ინტერესია, რომ აფხაზეთი შევიდეს რუსეთის შემადგენლობაში, როგორც რუსეთის ასოცირებული წევრი“, — განაცხადა ჯემალ გამახარიამ.

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობასთან აქცია გუშინ დილიდან მიმდინარეობდა. აქციის მონაწილეები ე.წ. ადმინისტრაციაში შეიჭრნენ. სოციალურ ქსელში შეჭრის კადრებიც გავრცელდა. ამასთან, ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტმა მიიღო დოკუმენტი, რომელიც რაულ ხაჯიმბას გადადგომისკენ მოუწოდებს.

რაულ ხაჯიმბას გადადგომისკენ მოუწოდებენ!..

ოკუპირებული **აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტის დეპუტატებმა დადგენილების პროექტი მიიღეს, რომლითაც დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას მიმართავენ „სახელმწიფოს მეთაურის“ თანამდებობიდან ვადაზე ადრე გადადგეს. დადგენილებას მხარი 19 -მა „დეპუტატმა“ დაუჭირა, ოთხი კი წინააღმდეგი იყო. ერთმა „დეპუტატმა“ კენჭისყრაში მოანწილეობა არ მიიღო.**

დე ფაქტო პარლამენტი სულ 35 მანდატისგან შედგება. მანამდე „პარლამენტარებმა“ რაულ ხაჯიმბას ე.წ. სახელმწიფო აგარაკზე მომიტინგეთა ყველა მოთხოვნა გადასცეს. ამის შესახებ ჟურნალისტებს „დეპუტატმა“ ლეონიდ ჩამაგუამ განუცხადა, რომელიც ოთხ „დეპუტატთან“ ერთად იმყოფებოდა ხაჯიმბასთან. ჩამაგუას თქმით, ხაჯიმბას პასუხი იყო, რომ ამ დროისთვის გადადგომას არ აპირებს.

აფხაზეთი ხელფასებისა და პენსიების გარეშე რჩება

„პრემიერ-მინისტრმა **გასცა განკარგულება, შეჩერდეს ყველა ფინანსური ოპერაცია. თქვენ იცით, რომ მინისტრთა კაბინეტის აპარატის შენობაში იმყოფებიან ადამიანები, ხოლო ფინანსთა სამინისტრო ამავე შენობაშია. ამიტომ ფინანსური ოპერაციების შეჩერების გადაწყვეტილება მიღებული იყო უკანონო ქმედებების თავიდან ასაცილებლად. ჩვენ სახლებში გავუშვით უწყებაში დასაქმებული ქალი თანამშრომლები. ასეთ რეჟიმში სამინისტრო სრულფასოვან ფუნქციონირებას ვერ შეძლებს“,** — განაცხადა ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ფინანსთა მინისტრმა.

მისივე თქმით, თუ სიტუაცია არ შეიცვლება, ე.წ. მთავრობა „ხელფასებისა“ და „პენსიების“ გაცემას ვერ შეძლებს.

რუსეთი: აფხაზეთში მომხდარ ამბავს ვაფასებთ, როგორც ქვეყნის საშინაო საქმეს!

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ოკუპირებულ აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„მომხდარს ვაფასებთ, როგორც ქვეყნის საშინაო საქმეს. ვიმედოვნებთ, რომ აფხაზეთში დაინტერესებული მხარეები პირდაპირი, მშვიდობიანი დიალოგის გზით, სამართლებრივ ჩარჩოში ვითარების სწრაფ სტაბილიზაციას შეძლებენ“, — აღნიშნულია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

ანაკლია

მთავრობის გადაწყვეტილება ლოგიკური და სამართლიანია

კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელი, ყოფილი ბიზნესომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძე მიიჩნევს, რომ „ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან“ ხელშეკრულების შეწყვეტაზე მთავრობის გადაწყვეტილება ლოგიკური და სამართლიანია.

— არაერთხელ არის დეკლარირებული, რომ ანაკლიის პორტის პროექტი განხორციელდება. რაც შეეხება უშუალოდ ინვესტორთან დაკავშირებულ საკითხსა და ხელშეკრულების შეწყვეტას, ვფიქრობ, მთავრობის გადაწყვეტილება არის ლოგიკური და სამართლიანი, გამომდინარე იმ წინაპირობებიდან, რომელიც არსებობდა ინვესტორთან მიმართებაში. გზადაგზა ბევრჯერ შემსუბუქდა პირობები, რითაც თავდაპირველად ინტერესთა გამოხატვა გამოცხადდა და კონსორციუმმა გაიმარჯვა. ეს ერთგვარად არასამართლიანია იმ კომპანიებთან მიმართებაში, რომლებმაც თავის დროზე, აღნიშნულ ინტერესთა გამოხატვაში მიიღეს მონაწილეობა და ამ პირობების გამო, ვერ გადალახეს შემდგომი ეტაპები“, — განაცხადა ლექვინაძემ. ამასთან, მისი თქმით, კონსორციუმს ბევრჯერ გადაუვადდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რომელიც უკავშირდებოდა ფინანსური რესურსის მოზიდვას, თუ სხვა პირობების შესრულებას.

ლექვინაძემ ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტი კონსტიტუციაში არის შეტანილი, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სახელმწიფოს მხრიდან პროექტის მხარდაჭერას.

„რიგი საკითხები, მათ შორის კომერციული რისკების დაზღვევის საკითხი, მისი პრაქტიკაში რეალიზება, იქნებოდა არათანაბარი პირობის შემქმნელი სხვა პორტებთან მიმართებაში. ამიტომ ეს მოთხოვნა იყო არასამართლიანი. დეკლარირებულია, რომ ანაკლიის პროექტის განხორციელებაზე მუშაობა გაგრძელდება, იქნება ახალი ინტერესთა გამოხატვა და ჩემი მოსაზრებით, ამ პროექტის მიმართ დაინტერესება იქნება. დაველოდოთ საბოლოო შედეგებს, რომელი კომპანიები გამოხატავენ პროექტის განხორციელების ინტერესსა და სურვილს“...

სკოლებსა და ბაღებში არდადეგების გაგრძელების საფუძველი არ არსებობს

დაავადებათა **კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვალი პაატა იმნაძე საზოგადოებას ამშვიდებს და განმარტავს, რომ გრიპის ვირუსის გავრცელების გამო, საჯარო სკოლებსა და ბაღებში არდადეგების გაგრძელების საფუძველი არ არსებობს.** მისივე თქმით, სეზონური ვირუსის გავრცელების თვალსაზრისით ქვეყანაში განსაკუთრებული არაფერი ხდება. **„ნუ აჰყვებით რუსულ პროპაგანდას. ჩვეულებრივი ზამთარია, ჩვეულებრივი გრიპით“,** — აღნიშნა პაატა იმნაძემ.

ყელამდე ჩასვრილი ნაცები და ევრონაცები

მატყუარა ხელისუფლება და უტყუარი ოპოზიცია

პატივცემულო მკითხველო, მინდა, ამ წერილში ტყუილთან დაკავშირებით ორიოდ სიტყვა ვთქვა. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ქვეყანაში პროგრესული პროპორციული საარჩევნო სისტემის დასანერგად ბიძინა ივანიშვილის იმ საყოველთაოდ გახმაურებული ინიციატივა-ტყუილებთან დაკავშირებით, რომელმაც ჩვენი კეთილისმყოფელი ნაცროვა ზამთრის თოვლში მოყოლილი მშიერი მგლებივით ააყმუვლა. მშიერ მგელს კი სისხლის დასაღვრელად მოკაწკაწე კბილები რომ არ აუკანკალდება, მე მგონი, ამას დიდი განსჯა არ სჭირდება.

ძაღლთაპირი ნაცები, რომლებიც ახლა უკვე მგელთაპირ ნაცებად დაიგეშნენ, აკი კიდეც ემუქრებიან გასაგლეჯად ოლიგარქად შერაცხილ ივანიშვილს. „მატყუარაზე მატყუარა“ ვინმეა ეს ჩვენი არაფორმალი ერთმმართველი, რომელმაც ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე აავსო ხალხი გუდატყუილებით, მაგრამ ესეც არ იკმარა და ახლა კიდევ ახალი ცინცხალი ტყუილი — 2020 წლის არჩევნებს პროპორციული სისტემით ჩავატარებო — შემოგვიგდო, რითაც არა მხოლოდ პარტიები, არამედ თავად არჩევნებში მისი მხარდამჭერი ხალხიც „გადააგდოო“. არ შევარჩინოთ და გინდაც, ჩვენ ვაპატიოთ, გადაგდებული ხალხი თავად გამოუყვანს წირვას ამ მატყუარა მილიარდერსო, — ხმაშეწყობილად გაჰყვირიან სახელისუფლებო დაწესებულებათა დასაპიკეტირებლად მოწყობილ აქციებზე ნაცბანდელი ულვაშა თუ უულვაშო ვაშაძეები, კუდაგრძელი მელიები, ტვინგასიებული ბოკერიები, სამადაშვილები, ხოშტარიები, ბოკუჩავები, მათთვის განრიგის მისაცემად საზღვარგარეთ აყმუვლებული ჩიტრეკია სააკაშვილი. ჩვენ მშვიდობიანად, არჩევნებით გავისტუმრებთ მეოცნებე ხელისუფლებას, — აცხადებენ დასავლელი პარტნიორების გულის დასამშვიდებლად ნაცბანდელები, მაგრამ შიგადაშიგ ენა წაუცდებათ და მთავრობის დამხობის ვარიანტსაც აანონსებენ. ამათი ზნეკეთილობის ამბავი რომ ვიცი, ვფიქრობ, უფრო მეორე ვარიანტზე შეჩერდებიან, მით უფრო, რომ ხელისუფლების ძალადობრივად გადატრიალების არცთუ ღარიბი გამოცდილება გააჩნიათ.

ვიცი, არ დაიჯერებენ, მაგრამ მატრაბაზი სააკაშვილის რჩევებს აყოლილ ნაცებს მაინც ვურჩევ, გადახედონ საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებას და თვითონაც მათი გზით იარონ. თუ უცხოეთის ცხოვრების პრაქტიკას გულდასმით გააანალიზებენ, მიხვდებიან და დაინახავენ — დედამიწის ზურგზე ჯერ არავის უნახავს ისეთი ხელისუფლება, რომლებსაც ტყუილი არ ეკადრებინოს. ასე იყო უხსოვარი დროიდან და ასეა დღესაც. თვით კომუნისტებიც კი, რომლებმაც სამართლიანი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის პერიოდში რიგითი მშრომელი ადამიანები უამრავ სიკეთეს სწიეს, ბოლოს, მაინც, კომუნიზმის ზღაპარ-ტყუილის მსხვერპლად იქცნენ.

საქართველოს არც შემდგომი პერიოდის მთავრობებს სწყალობდათ ბედი. გულუბრყვილო, არაკომპეტენტურმა მმართველობამ დაღუპა უაღრესად პატიოსანი, სამშობლოსთვის გულანთებული ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, „მილიონი სამუშაო ადგილის“ შექმნის ტყუილს გადაჰყვა ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებაც. თუმცა, მანამდე, კრიტიკოსი თამაზ წივწივაძე მოსწრებულად შენიშნავს: „ბებერი მგელი ტოტია (შევარდნაძე) საკუთარმა ლეკვებმა შეჭამეს!“

ჩვენდა სანაძეებოდ, აი, დამთხვეული სააკაშვილი კი არც ლეკვებს შეუჭამიათ და არც ტურებს. პირიქით, მან თავისი ტირანული მმართველობის წლებში აქეთ შეჭამა და დააქცია მთელი საქართველო. უფშვიტნე სააკაშვილის მიერ რეფორმებად მონათლული სისხლიანი რეპრესიები, უდანაშაულო ახალგაზრდების ქუჩა-ქუჩა ჩაცხრილვები, ადამიანთა დაყაჩაღება-გაუპატიურებები დღესაც მოუნელებელ ცოდვად აწევს კისერზე მთელ სანაცეს, როგორც „წმინდა ქართული სისხლის“ მატარებელ, ისე ევროპული ძუძუთი ნაკვებ ნაცსექტანტებს.

საოცარი ის გახლავთ, რომ ქვეყნის იმ შავდღეობის ავტორ ნაცებს ახლა თურმე ბიძინა ივანიშვილის „ქვეყნის დამაქცევარი ტყუილები“ ანცვიფრებთ.

მე ოცნებელთა დამცველად ვერ გამოვდგები, მათ ხელისუფლებაში მოსვლამდე მართლაც დაპირებათა კორიანტელი დააყენეს, საიდანაც მხოლოდ ნაწილი შეასრულეს, მაგრამ, სამაგიეროდ, ქვეყანა ნაცების სისხლიანი რეჟიმისგან გამოიხსნეს, ხალხი ცხოვრების დემოკრატიულ ნორმებს აზიარეს, სამუდამოდ ამოსდეს აღვირი ქონების ჰაიჰარად წართმევას, ბიზნესის დაყაჩაღებას, უდანაშაულო ადამიანთა დაპატიმრება-გაუპატიურებას, რაშიც წუპაკ ნაცებს უშუალოდ ჰქონდათ ხელები გასვრილი.

მართალია, ივანიშვილს შერეული არჩევნების პროპორციულით შეცვლის იდეა-ინიციატივა ჩაუვარდა, რაც ნაცებმა მის მორიგ ტყუილად და ხალხის გადაგდებად გაასაღეს, მაგრამ ფაქტი ის გახლავთ, რომ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დეპუტატთა ერთმა ნაწილმა მხარი არ დაუჭირა ამ ინიციატივას და არა ის, რომ ივანიშვილმა ასეთი არჩევნების იდეა ხალხის გასაცუცურაკებლად ჩაიფიქრა. თუმცა, ისეთ დემოკრატიულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, დეპუტატთა ასეთი ქმედება (ყველას აქვს საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება) დემოკრატიულ ნორმად უფრო ჩაითვლება, ვიდრე ივანიშვილის ტყუილად.

რა დაგიმალოთ, პირადად მეც, დეპუტატი რომ ვყოფილიყავი, გავითვალისწინებდი იმას, რაც მოჰყვა პროპორციულ არჩევნებს მაღალგანვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში (კოალიციურ მთავრობებს თვეობით ვეღარ ირჩევენ) და მხარს დავუჭერდი მაჟორიტარული სისტემით არჩევნებს.

ამ ოპოზიციისას რას გაიგებ, ჩემო ბატონო, იმ მექოთნისა არ იყოს, ყურს იქიდან მოაბამენ, საიდანაც ხელეწიფებათ. თქვენ როგორ ფიქრობთ, დეპუტატებს რომ ერთსულოვნად დაეჭირათ მხარი პროპორციული არჩევნებისთვის, ნაცები ტაშით შეეგებებოდნენ?! ახლა იმას მოიმიზეზებდნენ, ეგენი ყველანი ივანიშვილის ყურმოჭრილი მონები არიან, საკუთარი აზრი არ გააჩნიათ და იმიტომ დაეთანხმნენო. ჰოდა, როგორც სჩვევიათ, ადგებოდნენ და პროტესტის ნიშნად პლენარულ სხდომას საერთოდ დატოვებდნენ.

უტყუარი ოპოზიციის გასამხნევებლად ერთს კიდევ ვიტყვი და გავჩუმდები. აი, თუნდაც იმას, თავის წინასაარჩევნო გამოსვლებში ივანიშვილმა ხალხს პირობა რომ მისცა — მოვალ თუ არა ხელისუფლებაში, ქვეყნად სამართლიანობას აღვადგენო, სისხლიანი რეპრესიების მონაწილეთ პასუხს ვაგებინებთ, ისეთ დემოკრატიას დავამყარებთ, თვით ევროპელებსაც კი გავაკვირვებთო. კი დაპირდა, მაგრამ ვერ შეასრულა, დამნაშავე ნაცებს დასჯის ნაცვლად თანამშრომლობის ხელი გაუწოდა, ზოგი მათგანი მსხვილ-მსხვილ თანამდებობებზეც კი დატოვა. ეს ჩვენი ფინთიკოზა ნაცები, თავი სამართლიანობის ეტალონად რომ მოაქვთ, თუ მართალი ვაჟკაცები არიან, რატომ მაშინ არ აყვირდნენ — ბიძინამ ხალხი მოატყუა, უსინდისოდ გადააგდო და ამისთვის პასუხი უნდა ვაგებინოთო. მაშინ გაყუჩდნენ, სამაგიეროდ, ახლა მოითხოვენ მის განქიქებას, — პროპორციული არჩევნები ჩაგვიგდო და უნდა გადავაყენოთო! თანაც, თურმე „შავ სიას“ ადგენენ, სადაც მათი აზრით, დამნაშავე ქოცები შეჰყავთ და ხელისუფლებაში მობრუნების შემდეგ მათ სამაგალითო დასჯა-წამებას აპირებენ.

არაფერი გამოუვათ, ნაცები იმდენი ბოროტებისა და უწმინდურობის შემოქმედნი არიან, რომ ამას ხალხი არასოდეს აპატიებს. რა თქმა უნდა, ნაცები იმის ჩიტები არ არიან, საკუთარი თავის დასჯა მოეთხოვათ (ეს „ოცნების“ ხელისუფლებას უნდა გაეკეთებინა და რომ არ გააკეთა, შეცდომა დაუშვა. დამნაშავის დაუსჯელობა თავადვე დანაშაულია), მაგრამ დანაშაული რომ მოენანიებინათ მაინც, ხალხს მათზე როგორღაც გული მოულბებოდა. ახლა? ახლა ისე არიან ყელამდე ჩასვრილები, რომ, როგორც კახელები იტყვიან, ადიდებული ალაზანიც ვეღარ გარეცხავს!



ოთარ ხუციშვილი

აუტანელნი, ვერასატანნი...

თავყრილობა თვალშისაცემი
და მოფშვიტინე ლიდერნაცები,
თავად დასტვენილნი, ბოღმით აღვსილნი
საქციელითაც აღვირახსნილნი,
ოპოზიცია, ძველი, ახლები,
წყალწაღებულნი, წყალწასაღებნი,
აუტანელნი, ვერასატანნი,
ნაგავი სანაგვით გასატანნი.
არა — ზრდილობა, არა — კულტურა,
ზეობს ჯართი და მაკულატურა...

ღვთისმშობლის წილხვედრი მთა და მდელო,
ასეთთა საჯიჯგნად იქცა საქართველო...

* * *

გონს დროზე მოდით, დროზე დაფიქრდით,
სანამ არ არის გვიან.
მეც, თქვენც, სუყველას,
ბედკრული ქვეყნის შვილები გვქვია...

ბორის ფოცხვერაშვილი,
სამტრედია

თითქმის დამთავრდა საახალწლო საზეიმო განწყობა. განწყობა, რომელიც მიუხედავად ბოროტი გრინჩების მცდელობისა, შეექმნათ აჟიოტაჟები, თავიანთი უსაგნო და პროვოკაციული პროტესტებით ჩვენთვის ახალი წელი წაერთმიათ, ისტორიით სავსე ქალაქში და მთელ საქართველოში, ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

შემიძლია თამამად თქმა, რომ ეს რამდენიმე დღე ბედნიერ ქვეყანაში ვცხოვრობდი.

მიხაროდა სტუმრების მოსვლა, საყვარელ ადამიანებს ვჩუქნიდი საჩუქრებს და მათგანაც ვღებულობდი. მიხაროდა ქუჩაში ნაცნობების თუ უცნობების ნახვა.

ერთი სიტყვაც არ მითქვამს პოლიტიკაზე.

ჰეი, ვინ ფუთფუთებს მანდ?!

ისევ ძველი ახალი წელი

ვუყურებდი მარტო კონცერტებს ან ქართულ, ან რუსულ არხებზე, მაგრად „მეკიდა“ ვინმე პიდ@@არასტი წავიდოდა თუ არა სასამართლოში (ამასაც შემთხვევით მოვკარი ყური და ისე აღვიქვი, ვითომ სადღაც სხვა ქვეყანაში ხდებოდა). დამავიწყდა, რომ არსებობენ არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები და სახალხო დამცველი.

დამავიწყდა იმიტომ, რომ მათი არსებობა არაფერში მჭირდებოდა და სადღაც გულში ვგრძნობდი, რომ უმაგათოდ ათასი წელი მშვენივრად ვიცხოვრებდი.

ნელ-ნელა დავრწმუნდი, რომ კომუნისტებს ნება რომ დაერთოთ, ჩვენით გვენახა, თუ რას ნიშნავდა ე.წ. დასავლური დემოკრატია, ხალხი გორბაჩოვს თავსი „პერესტროიკით“ ოსტანკინოზე ჩამოჰკიდებდა და ყველა! ცივილიზებულად მოაზროვნეს“ ფსიქიატრიულში გამწესებდა.

საუბედუროდ, ნელ-ნელა ვბრუნდები და ახლა ვფიქრობ – რა გაძლებს 355 დღე.

არადა, 2020 საკმაოდ დაძაბული წელიწადი იქნება.

ამერიკა-ირანის ურთიერთობა, ჩვენი შიდა ეკონომიკური პრობლემები და, რაც მთავარია, არჩევნები.

არჩევნები, რომლის შემდეგაც საქართველოსთვის ფაქტობრივად ახალი საფეხური უნდა დაიწყოს.

დავიწყებ ირან-ამერიკის დაძაბული ურთიერთობით.

პირველ რიგში უნდა ვთქვა, რომ ამ საკითხში საქართველოს როლის განხილვისას „ექსპერტებისთვის“ აუცილებელია სტუდიებში და კლავიატურებზე ნაცრის დაყრა.

ასევე სასურველია, ისმოდეს წისქვილის დოლაბების ხმაური.

დამერწმუნეთ, ასეთ გარემოში მსჯელობაც უფრო საყურადღებო და ნაყოფიერი იქნება (თვალსაჩინოებისთვის იხ. ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“. სოსოია მამალაძისა და მეწისქვილე ბეგლარას მსჯელობა მეორე მსოფლიო ომის მოსალოდნელ განვითარებაზე).

ძალიან „საგულისყურო“ იყო ფსიქიური აშლილობის მაქსიმალურ ნიშნულს მიღწეული ნიკა გვარამიას გამოხმაურება ამერიკის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის გადაწყვეტილებაზე – ირანისთვის ეკონომიკური სანქციების დაწესების შესახებ:

> **„ვგიჟდები ეკონომიკურ სანქციებზე. ცნობილია თავისი ეფექტიანობით, განსაკუთრებით ტერორისტული რეჟიმების წინააღმდეგ. რუსეთი ხო დააჩოქა, ახლა ირანის ჯერია! იიიშშშ! აეგრე!“** – წერს გვარამია ფეისბუქში.

ჩემი აზრით, აქ სამი ვარიანტია: 1. იმდენად არის ჩავარდნილი გაბოროტებულ ისტერიკაში, რომ საერთოდ დაკარგა ნორმალურად აზროვნების უნარი და კივის, თუ რატომ არ იწყებს ამერიკა საომარ მოქმედებებს რუსეთისა და ირანის წინააღმდეგ. 2. კლინტონისტებს უძვრება და ფული უნდა. 3. პირველი და მეორე ერთად.

გვარამია 500 ლარით დააჯარიმეს...

„მთავარი არხის“ გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია მოსამართლე გიორგი არევაძემ „სასამართლოსა და მოსამართლის შეურაცხყოფისთვის“ 500 ლარით დააჯარიმა.

არევაძემ სასამართლოს სხდომაზე გვარამიას ის განცხადებები შეახსენა, რის გამოც ის 3 იანვარს სხდომიდან გააძევა.

გვარამიამ თავისივე განცხადებებთან დაკავშირებით, რომლითაც მოსამართლეს არაადეკვატური უწოდა და ეჭვი შეიტანა, რომ ის არ იყო ფხიზელი, თქვა, რომ ეს მისი გამოხატვის თავისუფლება და პირადი მოსაზრებაა. მოსამართლემ მიიჩნია, რომ ამგვარი შეფასებები სასამართლოსა და მისი შეურაცხყოფაა და გვარამია დააჯარიმა.

„თქვენი საქციელი იმსახურებს იმას, რომ აქვე დაგაკავოთ, მაგრამ არ მინდა ეს“, – მიმართა მოსამართლემ გვარამიას.

ირანის წინააღმდეგ. 2. კლინტონისტებს უძვრება და ფული უნდა. 3. პირველი და მეორე ერთად.

რაღაც იდიოტური „შავი სია“.

ეს იმ „შავი სიის“ სრული ვარიანტის გამოქვეყნების მერე მინდოდა, რომ დამეწერა, მაგრამ ახლა ჯობს:

გამომდინარე იმ მარტივი მიზეზიდან, რომ იმ „შავ სიას“ ე.წ. ტვ „მთავარის“ და სხვა მსგავსი აზროვნების ტიპების გარდა, არავინ არ მიაქცევს ყურადღებას, მაგათ ადგილზე ყოველ ერთ ოცნებისტს 3 ნაცს მივაბამდი. წესიერ ხალხს კი საერთოდ არ შევიყვანდი სიაში. ამას ე.წ. კარგად გათვლილი „დეზა“ ეწოდება.

მოსალოდნელი შედეგები გაგიშიფროთ თუ თქვენით მიხვდებით?

უყურეთ ფილმებს ჯაშუშებზე, კონტრდაზვერვაზე ან ელემენტარული ლოგიკით იაზროვნეთ (ეს ინფორმაცია ოცნებისთვის და ფართო საზოგადოებისთვის არის დაწერილი).

ეს გაჭირვებულები, ესენი.

სია ჩამოწერეს და ყველა აგინებს, პირველ ხუთეულში რატომ არ მომახვედრეთო.

წესიერი სიაც ვერ ჩამოწერეს ამ დედააფეთქებულებმა.

ისე, მართალი გითხრათ, ძალიან მაგულისყურებს იმ სიას რომ ჩამოწერენ, მილის ფორმით გაიკეთებენ თუ კონუსისებურად?

> **„ყველაზე ღარიბი ქვეყანა ვართ ევროპაში მოლდოვის შემდეგ. ასე თუ გაგრძელდა, ბოლო ადგილი გარანტირებული გვექნება“,** – წერს **რომან გოცირიძე.**

ბატონო რომან, ხომ არ დაფიქრებულხართ იმაზე, რომ პირადად თქვენმა „საბანკო რეფორმებმა“, კუპონიზაციამ და უამრავმა მამაძაღლობამ ხომ არ იქონია გავლენა იმ ნიშნულზე, რომელსაც ახლა ბოღმიანი სიამაყით აფრიალებთ?

> **ᲘᲛ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲮᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲐᲗᲘ ᲜᲐᲫᲘᲠᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲬᲣᲬᲙᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲛ ᲓᲐᲣᲡᲐᲫᲛᲔᲑᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ „ᲙᲝᲜᲢᲘᲡ“ „ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲔᲑᲡ“, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲒᲐᲜ „ᲨᲔᲚᲐᲕᲐᲗᲔᲑᲡ“ ᲓᲐ ᲛᲝᲙᲚᲔᲓ ᲠᲝᲛ ᲕᲗᲘᲫᲕᲐ, ᲐᲛᲐᲗᲘ „ᲤᲐᲠᲛᲐᲖᲝᲜᲨᲘᲩᲘᲙᲝᲑᲘᲡ“ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲚᲜᲘ ᲒᲐᲮᲓᲜᲔᲜ.**

> **ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ – ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲯᲔᲠ ᲘᲧᲝ ᲜᲐᲗᲘᲫᲕᲐᲛᲘ, ᲠᲝᲛ ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲔ ᲩᲐᲗᲚᲐᲮᲘᲐ, ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲯᲔᲠ ᲘᲧᲝ ᲜᲐᲗᲘᲫᲕᲐᲛᲘ ᲠᲝᲛ ᲡᲘᲒᲣᲐ ᲗᲐᲚᲚᲘᲗᲘᲐ, „ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲝᲖᲘᲡ“ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ ᲛᲐᲠᲐᲖᲛᲘᲐ, ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲯᲔᲠ ᲛᲐᲫᲕᲡ ᲜᲐᲗᲘᲫ-**

> **ᲕᲐᲛᲘ – ᲜᲣ ᲒᲔᲨᲘᲜᲘᲐᲗ ᲕᲘᲚᲐᲪ ᲚᲝᲛᲕᲯᲐᲠᲘᲐᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲫᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.**
>
> **ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐ ᲙᲘ ᲐᲠᲐ – ᲕᲐᲚᲘᲐ! ᲕᲐᲚᲘᲘᲘᲘ! ᲓᲐ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲕᲘᲦᲐᲪ ᲜᲐᲑᲘᲯᲭᲠᲔᲑᲘ (ᲩᲐᲛᲝᲕᲗᲕᲐᲚᲝ?)**

2020 დადგა! არჩევნებამდე მაქსიმუმ 10 თვეა დარჩენილი!

და კარგად მომისმინეთ გუდაურბაკურიანში წყლის პრობლემაზე „აღტაცებულო“ ხალხო:

ხომ ძალიან გაწუხებთ ეს პრობლემა, ხომ განიცდით ტურისტების დისკომფორტს და „სტრელკები“ ინფრასტრუქტურის სამინისტროზე გადაგაქვთ,

ჰოდა, გეუბნებით – დაიწყოს ძიება, როდის გაიცა იმ სასტუმროების და ტურისტული ინფრასტრუქტურების მშენებლობის ნებართვა, იყო თუ არა გათვალისწინებული მომარაგების იმ არსებულ სისტემაზე დამატებითი დატვირთვა დ.ა.შ. შემდგომ სასამართლოს ძალით, იმ ტიპებმა, ვინც მშენებლობების ნებართვები ამ ყველაფრის გაუთვალისწინებლად გასცეს და იმათ, ვინც მაყუთი ვიშოვნოთო და რაც იქნება, იქნებაო, თავიანთი ხარჯებით აანაზღაურონ სრული ზარალი!

აი, ეს გააპროტესტეთ, ჩემო მოთხილამურე-მოციგურავეებო და ტურისტებზე გადაყოლილო, ქვეყნის ბიუჯეტზე „მზრუნველო და მჭმუნვარე“ „ექსპერტებო“.

ყველაფერი დაიწყეთ თავიდან და იმასაც ისე, გაკვრით ვიტყვი – ამ მარაზმით, ანაკლიის პორტის მშენებლობის განუხორციელებლობაში და ამით ჩემი, თქვენი, საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის ფინანსების მიმტაცებლების დანაშაულს ვერ გაამართლებთ.

წერილი კი უნდა დავასრულო ამერიკის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის პრესკონფერენციის დროს ქართველი ფეისბუკ-მომხმარებლების მიერ დაწერილი რამდენიმე კომენტარით, რომელთა წაკითხვის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ჩვენ, ქართველებს, ვერავინ და ვერაფერი მოგვერევა:

გიგი – მგონი, ირანელებიც არიან აქ და ყველაფერი არ ვთქვათ.

ზურა – „კაროჩე“, ყველა აქ ხართ და ბინას ვაქირავებ.

დათო – ტრამპ, ახლა შენც „მოდი ბოდიშით“ არ დაიწყო.

გიორგი – ახლა რომ მაქარაშვილი გაიჩითოს თეთრ სახლთან – სისტემა უნდა დაინგრესო.

ნიკა – რუსეთი ოკუპანტიაო, ნუ წერთ აქ. ირანზეა ბაზარი და თემა ნუ გადაგაქვთ.

გიორგი – მოვიკითხავ ნათელა დეიდას გურჯაანიდან.

რეზი – რა დუტას ზღაპრებივით ბაზრობს.

თევდორე – ხმალი ავლესოთ შტატელებო, ხმალი ავლესოოოთ.

მარიამი – ვეძებ კარგ ამერიკელ ყმაწვილს.

გიორგი – ტრამპ, რას იპრანჭები. გამოდი დღეს, სულ ჩვენები ვართ.

თარაში – რა დროს ომია, კაცს ვარკეთილში გარაჟი ვერ გაუყიდია.

უნე მერე – ტრამს რომელი ჰაილაითერი უსვია მითხარით ვინმემ რაა.

ალექსი – ამან მოკლა, ამან.

ნიკა – ახლა თუ ამ კომენტარებს აკვირდებიან და ტრამპმა ირანის დედაც, საქართველოს დასცხეთო, მერე ნახავთ თქვენ.

გიორგი – თეთრის სახლის ადმინისტრაციას ვთხოვ, გაუშვან დათო ხუჯაძის „მეგობრებთან ერთად“. ეძღვნება საქართველო-ამერიკის მეგობრობას.

წერილს ამ მხიარულ ნოტაზე დავამთავრებ, რადგანაც წინ საკმაოდ მძიმე წელი გველოდება და საფიქრალიც ბევრი გვექნება.

გია გაბრიჭიძე

ქართველ მეფეთა პოეზია

„ქართველ მეფეთა პოეზია“ – ასე ეწოდება წიგნს, რომელიც სულ ახლახან გამოსცა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ. წიგნის წარდგინება აკადემიაში შედგა 2019 წლის 27 დეკემბერს მეცნიერებათა აკადემიისა და ქართული ჰერალდიკის სახლის ერთობლივი ძალისხმევით.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა ცნობილმა ფილოლოგმა **ქეთევან ტომარაძემ,** ხოლო წიგნის შინაარსი დაწვრილებით მიმოიხილა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცეპრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა**.

წიგნის იდეის ავტორი გახლავთ **ოთარ ციციშვილი,** ხოლო ქართველ მეფეთა (დავით აღმაშენებელი, დემეტრე პირველი, თამარ მეფე, თეიმურაზ პირველი, არჩილი, თეიმურაზ მეორე, ვახტანგ მეექვსე) ქართულიდან ინგლისურად თარგმნეს: **ნანა ბუხრაძემ, თეა ქუნთელიამ** და **ქეთევან მამულაშვილმა**.

„ფეოდალური საქართველოს შვიდი რჩეული მონარქის განსხვავებული ხასიათისა და ჟანრის მხატვრული შემოქმედებიდან ცალკეული ფრაგმენტების წინამდებარე კრებულში თავმოყრა კეთილშობილურ მიზნებს ემსახურება. პოეზიის მშვენიერი ნიმუშებისა და მათ ავტორთა შესახებ მოკლე ინფორმაცია ზოგად წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს ქართული მწერლობის განვითარების ეტაპებზე XI საუკუნიდან, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური აღმავლობის პერიოდიდან, გვიანი შუა საუკუნეების რთულ, წინააღმდეგობრივ ეპოქამდე, ქრისტიანულ-ფილოსოფიური აზროვნების გენეზისზე ჩვენს ქვეყანაში, სოციალურ-კულტურული ცხოვრების პერიპეტიებზე, არაერთგვაროვანი მოვლენებით დატვირთულ ვრცელ ისტორიულ არეალზე“, – აღნიშნულია წიგნის წინასიტყვაობაში.

„ქართველ მეფეთა ისტორია“ მართლაც ძვირფასი საჩუქარია როგორც თითოეული ქართველისთვის, ისე ჩვენი ისტორიით და პოეზიით დაინტერესებული ინგლისურენოვანი მკითხველისთვისაც.

ნათია ვადაჭკორია



◎ ქართუს საჩუქარი

წიგნი – ეროვნული განძი

როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ჩხენკელი ცნობილი ეთნომუსიკოსისა და ლოტბარის **ანზორ ერქომაიშვილის** ხელმძღვანელობით შექმნილი ინგლისურენოვანი სამტომეულის **„Georgia. History. Culture. Ethnography“** (საქართველო – ისტორია, კულტურა, ეთნოგრაფია) პრეზენტაციას ახალი წლის წინა დღეებში დაესწრო და საზოგადოებას ქართული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით შექმნილი წიგნის მნიშვნელობაზე ესაუბრა.

მიხეილ ჩხენკელი: „მსურს, მთელ საზოგადოებას მივულოცო დღევანდელი დღე. ჭეშმარიტად ისტორიული დღეა, რადგანაც უნიკალური სამტომეულის „Georgia. History. Culture. Ethnography“ პრეზენტაცია გვაქვს. ეს წიგნი, თავის სამეცნიერო და საგანმანათლებლო მნიშვნელობასთან ერთად, ძალიან დიდ როლს ითამაშებს ქართული კულტურის პოპულარიზაციაში. ქართული კულტურა ჩვენი მთავარი განძია. სწორედ იგი გვიმაგრებს ზურგს ევროპულ ოჯახში დასაბრუნებლად. როგორც ჩვენი კულტურის ისტორია ცხადყოფს და ეს კარგად არის ნაჩვენები ამ სამტომეულში, ჩვენ არა მხოლოდ ევროპის ნაწილი ვართ, არამედ ევროპული ფასეულობების ჩამოყალიბებაში უაღრესად დიდი როლი შევასრულეთ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სამტომეული მსოფლიოს მრავალი ქვეყნის უმსხვილეს არქივებსა და ბიბლიოთეკებში დაიდებს ბინას, მათ შორის, მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი უცხოელი მეგობრები საქართველოს თავისი უმდიდრესი კულტურით ხელახლა აღმოაჩენენ.“

ინგლისურენოვანი სამტომეული, რომელიც საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით გამოიცა, აერთიანებს ნაშრომებს როგორც სამუსიკო ფოლკლორისა და საეკლესიო მუსიკის, ასევე, არქეოლოგიის, არქიტექტურის, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ. მას ერთვის აუდიო-ვიდეომატარებელი („Flash-drive“), სადაც შესულია 1901 წლიდან დღემდე ჩაწერილი უნიკალური ქართული ხალხური სიმღერებისა და საგალობლების, საკრავიერი მუსიკისა და ხალხური ცეკვების 2491 ნიმუში.

წიგნის გამოცემის იდეა 2010 წელს გაჩნდა და იგი ამერიკული საგამომცემლო სახლის „NOVA SCIENCE“-ის პრეზიდენტს ფრენკ კოლუმბუსსა და მის მეუღლეს, ასევე, გამომცემელს ნადია გოცირიძე-კოლუმბუსს ეკუთვნის. რამდენიმე წლის განმავლობაში სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო დაწესებულებების ჩართულობით გამოცემაზე ქართველ მეცნიერთა და სპეციალისტთა დიდმა ჯგუფმა იმუშავა, რაც გულისხმობდა საძიებო (ფოტო, ვიზუალური, აუდიო და ვიდეომასალა) სამუშაოების შესრულებას, ორიგინალური მასალებისა და ნაშრომების შექმნას, მათ რედაქტირებასა და თარგმნას ინგლისურ ენაზე.

რევაზ არველაძე ბიძინა ივანიშვილის გაპრემიერებას ითხოვს

მმართველი **პარტიის დეპუტატი რევაზ არველაძე ითხოვს, „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა დაიკავოს.** – აღნიშნულის შესახებ დეპუტატმა „2020NEWS“-თან განაცხადა.

სააგენტოს კითხვაზე, ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილი აქვს თუ არა პრემიერ-მინისტრის პოსტის დაკავება? არველაძე გვპასუხობს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ივანიშვილის პოზიციის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნია.

„ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრის თანამდებობას დაიკავებს. ეს ქვეყნის განვითარებას შეუწყობს ხელს. პარტიის ლიდერობა ერთია, მაგრამ ქვეყნის ლიდერობა მეორე.

ლაპარაკია, რომ გუნდის წევრები ყველაფერს მას უთანხმებენ, თუ ეს ინფორმაცია სიმართლეა, ხომ წარმოგიდგენიათ, შეთანხმებებში რამდენი დრო იკარგება.

ბიძინა ივანიშვილი თავად არის პირველი პირი. ის ისეთ განკარგულებებს იძლევა, რომლებიც ქვეყნის წინსვლას უწყობს ხელს, ამიტომ ვფიქრობ, რომ მისი გაპრემიერება ძალიან კარგი იქნება“, – განაცხადა რევაზ არველაძემ.

„ოცნების“ დეპუტატი ბიძინა ივანიშვილთან გამართული აუდიენციის დეტალებსაც იხსენებს. როგორც დეპუტატი გვეუბნება, ამ შეხვედრაზე მან ივანიშვილს პრემიერ-მინისტრის თანამდებობის დაკავება რამდენჯერმე სთხოვა.

„ბატონ ბიძინას მთავრობის სათავეში ჩადგომა რამდენჯერმე ვთხოვე. მან მაშინ მიპასუხა – არაო. ახლა როგორია მისი პოზიცია, ნამდვილად არ ვიცი“, – განაცხადა რევაზ არველაძემ.

შეგახსენებთ, მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პრემიერ-მინისტრის თანამდებობას გიორგი გახარია რამდენიმე დღეში დატოვებს. დაუდასტურებელი ვერსიით, აღნიშნულ პოსტს „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი დაიკავებს.

ეკატერინე ზარნაძე

2020 წლის პირველი აპრილიდან მარჯვენასაჭიანი ავტომობილების მძღოლები საჭის გადატანას ვეღარ შეძლებენ!



მარჯვენასაჭიანი და საჭეგადატანილი მანქანების ტექინსპექტირებაში 2020 წლის პირველი აპრილიდან ცვლილებები შედის.

კერძოდ, ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც იმპორტირებული იქნება მარჯვენა საჭით, მძღოლებმა უნდა შეინარჩუნონ საჭის მდებარეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, პირველი აპრილის შემდეგ საჭეგადატანილი ავტომობილები პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებას ვერ გაივლიან.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ინფორმაციით, აკრძალვა გავრცელდება იმ მარჯვენასაჭიან ავტომობილებზე, რომლებიც 2020 წლის პირველი აპრილიდან პირველად დარეგისტრირდებიან.

„საჭის გადატანის საკითხი ეხება მხოლოდ იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს, რომლებიც პირველად დარეგისტრირდებიან პირველი აპრილიდან, ანუ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც იმპორტირებული იქნებიან მარჯვენა საჭით, უნდა შენარჩუნდეს საჭის მდებარეობა. ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც 2020 წლის პირველი აპრილიდან პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებას გაივლიან მარჯვენა საჭით, მომდევნო ინსპექტირებაზეც უნდა გამოცხადდნენ მარჯვენასაჭიანი ავტომობილებით“, – განუცხადა „საქართველოს პირველ არხს“ სახმელეთო ტრანსპორტის უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა შალვა ურიადმყოფელმა.

მისივე ინფორმაციით, 2020 წლის პირველ აპრილამდე რეგისტრირებული საჭეგადატანილი ავტომობილები პერიოდულ ტექინსპექტირებას უპრობლემოდ გაივლიან.

აეროპორტებში მგზავრთნაკადი სამი პროცენტით გაიზარდა

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ ინფორმაციით, 2019 წლის მონაცემებით, საქართველოს აეროპორტები 5 200 419 მგზავრს მოემსახურა. რაც 3 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს – 2018 წელს 5 033 118 მგზავრი.

ამასთან, დეკემბერში თბილისის გარდა ყველა საერთაშორისო თუ ადგილობრივ აეროპორტში მგზავრთნაკადის ზრდის მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტი დეკემბერში 221 760 მგზავრს მოემსახურა, რაც 15 პროცენტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (261 097 მგზავრი), ხოლო 12 თვის ჭრილში, ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 3-პროცენტიანი კლებაა და 3 692 202 მგზავრს შეადგენს.

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში კი მგზავრთა რაოდენობა 2019 წლის დეკემბერში წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებითმ 45 პროცენტით გაიზარდა და 82 551 მგზავრი შეადგინა. რაც შეეხება 12 თვის მონაცემებს, ჯამში ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი 2019 წელს 873 907 მგზავრს მოემსახურა, რაც წინა წელთან შედარებით 42 პროცენტით მეტია.

„საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ ინფორმაციით, 2019 წელს ავიასანქციების მიუხედავად,

ზრდის ტენდენცია შენარჩუნდა ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში. 2019 წლის დეკემბერში ბათუმის ალექსანდრე ქართველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტით 26 239 მგზავრმა ისარგებლა, რაც 42 პროცენტით მეტია შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (2018 წლის დეკემბერი 18 492 მგზავრი). რაც შეეხება წლიურ ჯამს, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში 2019 წელს წინა წელთან შედარებით მგზავრთნაკადი 4 პროცენტით გაიზარდა და 624 178 მგზავრი შეადგინა.

რაც შეეხება ადგილობრივ აეროპორტებს, მესტიისა და ამბროლაურის აეროპორტებით, 2019 წელს 10 132 მგზავრმა ისარგებლა, რაც 23 პროცენტით მეტია გასული წელთან შედარებით. ამასთან, მესტიის აეროპორტი დეკემბერში 595 მგზავრს მოემსახურა, რაც 97 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემს, რაც 302 მგზავრს შეადგენდა. ამბროლაურის აეროპორტმა კი 2019 წლის დეკემბერში 67 მგზავრი მიიღო, ხოლო 2018 წლის დეკემბერში – 24 მგზავრი.

2020 წლის 24 იანვარის 16 საათზე, მარჯანიშვილის № 7-ში ტარდება „თიბისი ფონდის“ წევრთა საერთო კრება.

საერთო კრების დღის წესრიგი:
1. ცვლილებები წესდებაში;
2. ფონდის საქმიანობების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

„თიბისი ფონდის გამგეობა“
2020 წლის 25 დეკემბერი.

ჭილის ტბაზე სასტუმრო მოეწყობა

პროექტი „50 ქონება შენი სასტუმროსთვის“ ფარგლებში, სოფელ თელოვანის მიმდებარედ არსებულ ჭილის ტბაზე სასტუმრო-ინსფრასტრუქტურა მოეწყობა.

სახელმწიფო ქონების ეროვნული საგენტოს ინფორმაციით, სასტუმროს მოწყობისთვის არანაკლებ 2 000 000 ლარის ინვესტიცია განხორციელდება და შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები.

პროექტის მხარდასაჭერად შპს „მეიდანიას“ ჭილის ტბაზე არსებული 30 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან ელექტრონულ აუქციონზე გადაეცა.

ახალი სასტუმრო კასპის მუნიციპალიტეტში

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქში 12-ნომრიანი სასტუმრო აშენდება. ინფორმაციას ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

პროექტის „50 ქონება შენი სასტუმროსთვის“ ფარგლებში, სააგენტომ 1122 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა ელექტრონულ აუქციონზე 20 500 ლარად გაყიდა.

პროექტი „50 ქონება შენი სასტუმროსთვის“ 2016 წლის ოქტომბრიდან მიმდინარეობს და ინვესტორებს აძლევს შესაძლებლობას, სასტუმრო კომპლექსები საქართველოს ტერიტორიაზე უკვე არსებული ინფრასტრუქტურის გამოყენებით მოაწყონ.

სახლები სოფლად 401 დევნილი ოჯახისთვის

დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო სოფლად სახლს კიდევ 401 დევნილი ოჯახისთვის შეისყიდის.

დევნილთა საკითხების შემსწავლელმა კომისიამ 700-ზე მეტი განაცხადი განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად განიხილა და 401 სახლის შესყიდვის თაობაზე დადებითი გადაწყვეტილება მიიღო.

„სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში, იძულებით გადაადგილებული ოჯახი თავად არჩევს სახლს მიწის ნაკვეთით, საქართველოს ნებისმიერ რეგიონში. კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში კი სააგენტო დევნილი ოჯახისთვის აღნიშნულ სახლს შეისყიდის. თანხის რაოდენობა ოჯახის სულადობიდან გამომდინარე განისაზღვრება.

დევნილ ოჯახებს სახლის შერჩევისთვის 3-თვიანი ვადა ეძლევათ. დევნილი ოჯახის მიერ შერჩეულ საცხოვრებელს საბაზრო ღირებულების დადგენის მიზნით ექსპერტიზა ჩაუტარდება.

მხოლოდ 2019 წელს, სახელმწიფომ სახლი 1 050 იძულებით გადაადგილებულ ოჯახს შეუსყიდა. ჯამში „სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში 4000-მდე დევნილი ოჯახი განსახლდა.

უკანონოდ მითვისებული ნაკვეთები და „ნაცმოძრაობის“ ჭინთვები

ვარკეთილში, ზემო პლატოზე „ანას ბაღის“ ტერიტორიაზე მიმდინარე აქციაზე პოლიციამ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის ოთხი პირი დააკავა. როგორც „საქართველოს პირველ არხს“ შსს-ში განუცხადეს, დაკავებულები 166-ე მუხლის საფუძველზე არიან, რაც წვრილმან ხულიგნობას გულისხმობს.

ვარკეთილში, ზემო პლატოზე ადგილობრივმა მოსახლეობამ აქცია გამართა. აქციის მონაწილეები „ანას ბაღის“ ტერიტორიაზე კორპუსის მშენებლობას აპროტესტებდნენ. აქციაზე დაპირისპირება მოსახლეობასა და სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლებს შორის მოხდა.

აქციის მონაწილეები სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლებს გადაადგილების საშუალებას არ აძლევდნენ. ადგილზე იმყოფებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი ლევან ხაბეიშვილიც, რომელიც ადგილობრივებთან ერთად მაღალსართულიანი კორპუსის მშენებლობას აპროტესტებდა.

ადგილობრივების პროტესტს სამშენებლო კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი გამოეხმაურა. გიორგი ბენაშვილის თქმით, მოსახლეობის პროტესტი აბსურდულია. მისივე თქმით, კომპანიას ყველა საბუთი წესრიგში აქვს. გიორგი ბენაშვილი აცხადებს, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ტერიტორიაზე ნაკვეთები თვითნებურად აქვთ შემოღობილი და მათი დათმობა არ სურთ. ბენაშვილი ასევე ამბობს, რომ საპროტესტო აქციები „ნაციონალური მოძრაობის“ ორგანიზებით იმართება.

ფესტივალი ბათუმში

რას ნიშნავს ან რას ავალებს დღევანდელ ბათუმს, ერთობ მნიშვნელოვანი წარსული – ამ ქალაქთან სულ ახლოს, ლამის ყურისძირში, მოქმედებდა გონიო-აფსარუსის ანტიკური თეატრი. ასეთი ბიოგრაფიით ხომ დიდ ქალაქთა მაქსიმალური უმრავლესობა ვერ დაიკვეხნის. შესაძლოა, ვინმემ შემძახოს, ყველაფერი ეს შორეულ წარსულში – უხსოვარ დროს იყოო, ამ შეძახილს მე თანამედროვეობის – აგერ გუშინდელ ამბავს მივაგებებ: სულ რაღაც ექვსი-შვიდი ათეული წლის წინათ, ბათუმში ისეთი თეატრი ჰქონიათ , დიდი ჯონ სტეინბეკი ისე მოიხიბლა ილია ჭავჭავაძის სახ. თეატრში ნანახი სპექტაკლით „ოიდიპოს მეფე," რომ საბჭოთა კავშირში მოგზაურობის თაობაზე დაწერილ წიგნში, გვერდი ვერ აუარა. სტეინბეკი და მისი ბადალი პიროვნებების გამოხმაურება, ესა თუ ის მოსაზრება, კი ძალიან მნიშვნელოვანია და კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, თუ რაოდენ საინტერესო თეატრალურ ცხოვრებას ეწეოდა, რაგვარი შემოქმედებითი ატმოსფერო იდგა ამ ქალაქში.

რა კავშირი აქვს ყველაფერ ამას დღევანდელი ბათუმის ერთობ მნიშვნელოვან შემოქმედებით აქტივობასთან, რომელიც აჭარის ხელმძღვანელობამ საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის დაარსებით კიდევ ერთხელ გამოავლინა – ბათუმს ხომ ფესტივალები, მათს შორის, საერთაშორისო ფესტივალები, არ აკლდა? ამ თეატრში ჩემი არაერთი პიესა დადგმულა და შემიძლია, ვთქვა, რომ ვიცნობ მის თუნდაც ბოლო ნახევარსაუკუნოვან ცხოვრებას. თუ მოკლედ ვიტყვით, დასმულ კითხვაზე პასუხი შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: ბათუმი იყო თეატრალური ქალაქი, ბათუმმა უნდა დაიბრუნოს დიდი თეატრალური ქალაქის ღირსება!

ამ „იყოს" გამო ჩემზე განაწყენებას ნუ იჩქარებ, ძვირფასო მკითხველო: სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ წლების განმავლობაში ამ ქალაქში დრამატული თეატრის შემოქმედება მინავლდა – იგი სხვა სანახაობრივი აქტივობებით ჩანაცვლდა – ასევე სასურველი (ეს დრომაც დაადასტურა!), ასევე საჭირო სანახაობრიობებით, მაგრამ ეს ხდებოდა დრამატული ხელოვნების მინავლების ხარჯზე. დრამატული ხელოვნების „ჩაჩოჩება" არცთუ სახარბიელო რეალობაა. ამ პროცესმა კი მაყურებელსა და დრამატულ თეატრს შორის ერთგვარი დისტანცირება განაპირობა. ეს მოსალოდნელიც გახლდათ: მაყურებელი ერთობ მგრძნობიარეა და ანგარიშს უწევს ხელისუფლების ამა თუ იმ გათვლას. ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს ტენდენცია, რომელსაც წლების განმავლობაში ირონიით შევცქეროდით: თბილისის გარეთ თეატრებში მაყურებელთა დარბაზები პირთამდე მაშინ ივსებოდა, როცა სპექტაკლზე ქალაქის, რაიონის ხელმძღვანელობა მოდიოდა. ეს ირონია დროდადრო დღესაც გვეუფლება – მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი მაყურებლის დიდი ნაწილი ცდილობს, დისტანციური იყოს ყოველგვარ სამთავრობო წარმონაქმნთან – ძველ ჩვეულებას მაინც ძნელად ელევა.

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახ. დრამატული თეატრის დღევანდელი შემოქმედებითი ცხოვრება ისეთია, როგორიც უნდა იყოს და არის ყოველი ნორმალური თეატრის ყოფა. ეს თეატრის მუშაობის რიტმსაც ეტყობა. რეჟისურა თანმიმდევრულია და აქტიური, ავტონომიის ხელმძღვანელობა ყურადღებას არ აკლებს – რამდენადაც მსმენია, თეატრი ემადლიერება კიდეც, სპექტაკლების შემოქმედებითი დონეც ისეთია, როგორც ყოველ ნორმალურ, შემოქმედებითი ინტერესებით აღვსილ თეატრში – არის ჩინებული, კარგი და ისეთი სპექტაკლებიც, რომ არ იყოს, არაფერი დაშავდებოდა – ხელოვანს ჩანაფიქრის წარმატებით განხორციელება ყოველთვის როდი ძალუძს... ასე ცხოვრობს ყოველი თეატრალური კოლექტივი, იქნება იგი აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში, ევროპასა თუ აზიაში. მაყურებლის, კრიტიკის ყურადღების სფეროში კი ის სპექტაკლები ექცევა, რომლებშიც რეჟისურამ, სამსახიობო შესრულებამ, სცენოგრაფიამ გაიბრწყინა. დღევანდღელი ბათუმის თეატრში ამგვარი გაბრწყინება არც ისე იშვიათია – ჭეშმარიტების წინაშე არც მაშინ შევცოდავთ – თუ ვიტყვით რომ ხშირია, თეატრში დღეს ჩინებული აქტიორული ანსამბლია. ამიტომ გულსატკენია, როცა პარტერსა თუ იარუსებზე ცარიელ ადგილებს ვხედავ. არაერთხელ ყოფილა: ვზივარ ამ თეატრში, შევცქერი, როგორ იხარჯებიან მსახიობები, რაოდენი ინტერესის აღმძვრელია ნაწარმოებების რეჟისორული გააზრება, მაგრამ ვერ ვხედავ ამდენი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტობას, ვერ ვხედავ, თუნდაც იმ შემოქმედთ, რომლებსაც ვიცნობ და რომლისთვისაც თეატრის ყოველი ახალი სპექტაკლი საგულდაგულო განსჯის, მოსაზრებათა დაპირისპირების, შემოქმედთა რაობის გამოვლენის განმაპირობებელი უნდა იყოს – ახალი სპექტაკლი ხომ ახალი სიცოცხლის დასაწყისია.

და აი, აქ ვეჩეხები ადრეულ წლებში დამკვიდრებული დრამატული თეატრის „ჩაჩოჩების " შედეგს, თუმცა, მომკალით და იმის ფიქრიც მეწვევა ხოლმე, რომ ზემოთ ნახსენებთაგან (ცხადია, დრამატული თეატრისაგან დისტანცირებულ მაყურებელს ვგულისხმობ) უმეტესნი არც იმ სანახაობათა ხშირი სტუმარნი იქნებიან, რომელთა გამოც დაიწყო დრამატული თეატრის „ჩაჩოჩება".

ფესტივალი?

ფესტივალი გახლავთ შანსი – ფესტივალი აჭარის საზოგადოებრიობას არწმუნებს, რომ ფიქრობენ ამ კუთხის ხვალინდელ დღეზე, სწადიათ, ამ კუთხის მოსახლეობა არ ჩამორჩებოდეს დროის მდინარებას, ისევე იყოს ინფორმირებული თანამედროვე მსოფლიოს ყოფაზე და მათს შორის, თეატრალურ ხელოვნებაზე, მასში მიმდინარე პროცესებზე, როგორც სხვა ქვეყნების გონებაგავარჯიშებული მოსახლეობაა. დღევანდელი ბათუმი, მისი ყოფა და სახე ხომ რადიკალურად განსხვავდება თუნდაც ოცი წლის წინანდელი ბათუმისაგან. იმ დროის (და ის, რომ სულ სხვა დრო იყო, ეჭვს არც იწვევს) ბათუმს განსაკუთრებული ხიბლი გააჩნდა. გამოხდა მუდამ ცვალებადი, ბოლო ხანს კი ერთობ აჩქარებულად ცვალებადი დრო და ამ ქალაქში მომხიბლველობის სულ სხვა ორიენტირები გაჩნდა. თეატრალური ფესტივალის დაარსებაც ხომ დროის პარალელურად შეხედულებათა, ფასეულობათა ცვალებადობის მომხიბლველობის ერთ-ერთი ორიენტირია. ჩვენ ხომ ინფორმაციის მოპოვებისათვის ბრძოლის ეპოქაში ვცხოვრობთ.

დროს, მის მთავარ ტენდენციას ეუფლება, ე.ი. გამარჯვების მეტი შანსი აქვს იმას, ვინც ინფორმაციას ფლობს. დრამატული ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი კი დიდი ინფორმაციის მატარებელია. იგი მოიცავს ინფორმაციას დროზე, კულტურაზე, ყოფაზე, მეცნიერებაზე და, რაც მთავარია, ადამიანთა ურთიერთობაზე.

არა ვგონებ, აჭარის ახალგაზრდობას სიამაყის გრძნობას არ ულვივებდეს, მომავლის რწმენას არ უმტკიცებდეს, ის, რომ დეკემბრის თვის რაღაც მონაკვეთში, მათი ქალაქი მსოფლიოს თეატრალური კულტურის მოლვაწეთა თავშესაყარი ხდება, რომ ამ ქალაქისკენ მოისწრაფვიან ესპანელი თუ ინგლისელი, გერმანელი თუ ფრანგი ხელოვანნი. ეს უკვე ბათუმზე, აჭარაზე ინფორმაციის გატანის ახალი არხია. დღევანდელ ბათუმში კი ბევრი რამ არის ისეთი, რამაც უნდა მოხიბლოს და მიიზიდოს ამა თუ იმ ქვეყნის მცხოვრებნი.

და როდესაც აღმოსავლეთისა, თუ დასავლეთის ამა თუ იმ ქვეყანაში ჩადის ინფორმაცია ბათუმზე, როგორც თეატრალურ ქალაქზე და ამას მოჰყვება ბათუმის მშვენიერების, თუნდაც ზედაპირული დახასიათება, ეს ქალაქის ცნობადობის გავრცელების კიდევ ერთი ახალი არხია და ჯონ სტეინბეკის მოსაზრება ბათუმზე, როგორც თეატრალურ ქალაქზე, დღესაც „მუშაობს".

შავი ზღვისპირეთში ბევრი წარმტაცი ქალაქია, ამ ქალაქებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ეტანებიან, მაგრამ არც ერთ ამ ქალაქზე არ მსმენია, რომ წელიწადის ამა თუ იმ დროს, დიდ საერთაშორისო თეატრალურ ცენტრად იქცევა. აჭარის ხელმძღვანელობა, ბათუმის თეატრი, დღეს ამ გზას დაადგა და თითქმის ვხედავ, თუნდაც მეოთხედი საუკუნის შემდეგ ეს ფესტივალი რაოდენ მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა იქნება – დღევანდელი წამოწყება რა მასშტაბს შეიძენს და როგორ შეფასდება იმათი ღვაწლი, ვინც ეს საქმე წამოიწყო.

გურამ ბათიაშვილი

P.S. მკითხველი ხედავს, რომ სპექტაკლების რეცენზირებას თავი ავარიდე. კიდეც მომენდომებინა, ვერ შევძლებდი – ყველა საფესტივალო სპექტაკლი არ მინახავს. აი, იტალიელთა მიერ წარმოდგენილ დანტეს ,,ღვთაებრივ კომედიაზე" კი მინდა ვთქვა: თეატრში უზარმაზარ მნიშვნელობას ვანიჭებ სიტყვას – განუსაზღვრელია სიტყვის ზემოქმედების ძალა, მსახიობის მიერ წარმოთქმული მონოლოგი, ზოგჯერ სულაც პაწია რეპლიკა, დიდი შემოქმედებითი ძალის მატარებელია, მაგრამ იტალიელთა „ღვთაებრივი კომედია", ისევე როგორც ლევან წულაძის „Begalut", გვარწმუნებს, თუ რაოდენ ფართოა თეატრის ზემოქმედების ამპლიტუდა. რაოდენი პოტენცია, აზრის გამოხატვის რამდენი საშუალებაა მოქცეული დრამატული ხელოვნების არსენალში. ორჯერ ვნახე იტალიელთა „ღვთაებრივი კომედია" და გული დამწყდა, რომ ეს სპექტაკლი ჩემს მეგობარ მწერლებს, რეჟისორებსა და მსახიობებს არ უნახავთ. იგი კიდევ ერთხელ გარწმუნებთ,თუ რაოდენ მრავალფეროვანია თეატრის გამოსახვის საშუალებები.

გ. ბ.

მეღვინეები „ღვინის ეროვნული სააგენტოს" ახალ ინიციატივას აფასებენ

„2020 წლიდან საექსპორტო ღვინოების ინსპექტირებაში საერთაშორისო ორგანიზაციები ჩაერთვებიან", – ამის შესახებ „კომერსანტს" ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან მეხუზლამ განუცხადა. საერთაშორისო ორგანიზაციების შესარჩევი ტენდერის ჩატარება უახლოეს პერიოდში იგეგმება, თუმცა კონკრეტული დეტალების გავრცელებისგან „ღვინის ეროვნული სააგენტო" ამ ეტაპზე თავს იკავებს.

Schuchmann Wines-ის **გენერალური დირექტორი ნუცა აბრამიშვილი** მიიჩნევს, რომ საექსპორტო ღვინოების ინსპექტირებაში საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვა, მცირე და საშუალო ზომის ღვინის კომპანიებს, რომლებსაც საერთაშორისო სტანდარტის სერტიფიკატი არ გააჩნიათ, პრობლემებს შეუქმნის.

„ეს საკითხი ალბათ ადრეულ ფაზაშია, რადგან ინფორმაცია ჯერ ჩვენამდე არ მოსულა. საერთაშორისო კომპანიების მიერ შემოწმება, კონკრეტულად დეგუსტაციების დროს, ანუ გაგზავნამდე არ ვიცი, როგორ უნდა მოხდეს. მე ვფიქრობ, კომპანიების ინსპექტირება საწარმოებში მოხდება, რომ ნახონ რამდენად იცავს კომპანია ყველა მაღალ სტანდარტს წარმოების პროცესში, ამიტომ უფრო კომპლექსური საკითხი მგონია. თუმცა, აქ მთავარია არა საერთაშორისო კომპანიების ჩართულობა და შემოწმება, არამედ ის, რომ კომპანიებმა ღვინო საერთაშორისო სტანდარტებით აწარმოონ. თუ ეს კომპლექსური საკითხი იქნება, ვფიქრობ, მცირე და საშუალო დონის ღვინის კომპანიებს პრობლემა შეექმნებათ, რადგან მათ არა აქვთ მსხვილი კომპანიების მსგავსად საერთაშორისო სერტიფიკატი, რომელიც წარმოების ყველა პროცესში კონკრეტული სტანდარტების არსებობას გულისხმობს. მცირე კომპანიებს ეს ფუფუნება არა აქვთ, რადგან ამის მისაღებად რთული პროცესია გასავლელი, ამიტომ ვფიქრობ, მცირე ზომის მარნებსა და საშუალო ზომის ღვინის კომპანიებს შესაძლოა პრობლემა გაუჩნდეთ", – აცხადებს ნუცა აბრამიშვილი.

„თელავის ღვინის მარნის" ხელმძღვანელი ზურაბ რამაზაშვილი თვლის, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვის ნაცვლად, სასურველია ადგილობრივ ბაზარზე მოხდეს ისეთი ბიუროს მოძიება, რომელიც ინსპექტირებას მოახდენს.

„მართალია, არგუმენტაცია არ ვიცი, თუ რას ფიქრობს „ღვინის ეროვნულ სააგენტო", მაგრამ ნუთუ ისე დავიღუპეთ, რომ საქართველოში ვერავინ ვნახეთ ისეთი, ვისაც ამ საქმეს ვანდობთ? მიკვირს, რომ საქართველოში ვერ მოიძებნა ან ვერ შეიქმნა ისეთი საერთაშორისო დონის ბიურო, რომელსაც ყველა ენდობოდა – ცოტა გაურკვეველია ეს ჩემთვის", – აცხადებს ზურაბ რამაზაშვილი.

„თბილღვინოს" პროდუქტების განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი ლაშა ლომაშვილი მიესალმება საექსპორტო ღვინის ინსპექტირებაში საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვის იდეას და თვლის, რომ საერთაშორისო ბაზარზე გასატანი ღვინის შემოწმება გასამკაცრებელია.

„მივესალმებით ასეთ ფაქტს, თუ ეს გულისხმობს იმას, რომ უფრო ხშირად შემოწმდება საექსპორტო პროდუქცია და მოხდება გასატანი ღვინის კონტროლის გამკაცრება. ადრე იყო საუბარი, რომ გაიგზავნება საერთაშორისო ლაბორატორიაში და იქ მოხდება შემოწმება. ასევე კარგია ექსპორტზე გასვლამდე თუ მოხდება ყველა მანქანის კონტროლი, მთავარია, ეს დროში არ გაჭიანურდეს, ამიტომ თუ აქ ლოკალურად გავძლიერდებით და აქ მოხდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაკონტროლება – ეს დადებითი ფაქტი იქნება", – აცხადებს ლაშა ლომაშვილი.

ნინო თამაზაშვილი

გააქტიურდება თუ არა 2020 წელს „ტროლების ქარხანა“, გველის თუ არა კიდევ ერთი რევოლუცია და სად იქნება ჩვენი ადგილი მსოფლიოს რუკაზე, ამის შესახებ დღეს ანალიტიკოსი დავით ზარდიაშვილი გვესაუბრება.

დონალდ ტრამპი:

ყველამ თავის ქვეყანას მიხედოს, მე არ ვარ ყველას პატრონი!..

— 2020-ში ველი, რომ სამოქალაქო დაპირისპირება რაღაცნაირად უნდა ჩაცხრეს, რაღაცნაირად უნდა დავუბრუნდეთ ჩვენს იდენტობას, საარჩევნო სისტემაზე ომის გამართვა არ ღირს. მით უმეტეს, ვიცით, რომ ამ ომის ნამდვილი მიზანია ძალაუფლების ხელში ჩაგდება არალეგიტიმური საშუალებებით. რაც შეეხება ფეისბუკის გვერდების დახურვას, ეს გასაგებია, მაგრამ ჩვენი ფეისბუკსივრცის „დატროლვა“ „ნაცების“ გამოგონებაა. „პრესა. ge“-ს ისტორია ყველამ კარგად იცის. თუ გახსოვთ, „პრესა. ge“-ს ჯერ კიდევ „ნაციონალების“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჰქონდა ფორუმი. სწორედ იმ პერიოდში ჩნდებოდნენ „ტროლები“, ანუ პროვოკატორები. როგორც წესი, ტროლი გამოდის, რაღაც აბსურდულს იტყვის და ატყდება ამაზე ერთი ამბავი, ხდება ყალბი საზოგადოებრივი აზრის შექმნა. იყო ასეთი „კუ იბერიელი“, რომელიც სწორედ ამ „ნიკით“ გამოდიოდა და ძველი დროის ფორუმელებს ყველას გვახსოვს, ისეთ საოცრებებს წერდა ეს ადამიანი, აკლებული ჰყავდა იქაურობა. „ტროლი“ ქართულად ქაჯს ნიშნავს, ამას აკეთებდა და საზოგადოებრივი დისკუსი შეჰყავდა ჩიხში.

რაც შეეხება ტროლების ახალი ქარხნების გაჩენას, საქართველოში მიმდინარეობს ჰიბრიდული ომი, ჰიბრიდულ ომში ყველაზე მნიშვნელოვანია საინფორმაციო ომი. ამიტომ ველი, რომ საინფორმაციო ომი კიდევ უფრო გამწვავდება. ვინც რას მოახერხებს, იმ საშუალებას გამოიყენებს, ომი იმიტომ არის ომი, რომ მიზანი ამართლებს საშუალებას, ყველაფერი უნდა გააკეთო, ოღონდ ომი მოიგო. ასე იქცევა ეს დეზინფორმაციული მანქანა, რაც „ნაცებს“ აქვთ, ისინი დეზინფორმაციას ქმნიან და, ბუნებრივია, ფეისბუკში „ტროლებიც“ გაჩნდება და ყველაფერიც. ფეისბუკში „ტროლები“ ყოველთვის იქნება, რადგან ღია სივრცეა. ყველას შეუძლია დარეგისტრირდეს და რაც უნდა, ის წეროს, ცენზურა არ არის. უბრალოდ, ეს უნდა იყოს ავთენტური, სწორედ არაავთენტურობაზე დაიწერა რაპორტი.

— გადმოიბარა „ნაცებისგან“ ტროლების ფაბრიკა „ოცნებამ?“

— რა თქმა უნდა, ხელისუფლებას ჰყავს რაღაც პიარჯგუფი, რომელიც ცდილობს პარტიული პროპაგანდის განხორციელებას, რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, მთლად მართლზომიერი არ არის. თუ „ტროლებზეა“ ლაპარაკი, გინდაც რაოდენობრივად, გინდაც ხარისხობრივი მასშტაბით, „ნაცებს“ ვერავინ შეედრება. „ქართული ოცნების“ „ტროლებს“ დეზინფორმაციული ხასიათი ნაკლებად აქვთ, დეზინფორმაციული ხასიათი სწორედ „ნაცების“ ტროლებს აქვთ, მთელი თავიანთი ტელევიზიებით, ინტერნეტსივრცით. მასშტაბი აბსოლუტურად სხვადასხვაა. ეს სწორედ ჰიბრიდული ომის სტრატეგიაა, როცა შენილბვა ხდება, თავისი ტროლები და დეზინფორმაციულობა რომ დამალონ, ამიტომ სჭირდებათ, ეს ყველაფერი გადააბრალონ „ქართულ ოცნებას“. მთელი ტვირთი დეზინფორმაციებისა, „ფეიკებისა“, რაც ჩვენს საინფორმაციო სივრცეშია, 90% ნაცების მოგონილია. ამის მიუხედავად, მაინც მჯერა, რომ რაღაცნაირად მოვახერხებთ, 2020 წლის არჩევნები ჩავატაროთ.

— ჩავატაროთ არჩევნები, მაგრამ ვისი გამარჯვებით?

— ისეთ ვითარებას ველი, რომ მანდატები მეტ-ნაკლებად გადანაწილდება. არავის არ ექნება საკონსტიტუციო უმრავლესობა და შეიძლება, შეიქმნას მდგომარეობა, როდესაც უბრალო უმრავლესობაც არ გვყავდეს პარლამენტში, რომელიც მთავრობის ფორმირებისთვისაა საჭირო.

— ანუ თქვენ ელით კოალიციურ მთავრობას?

— ეგ არ ვიცი, საბოლოო ჯამში, ეგ უკვე პოლიტიკური კულტურის ამბავია, მოახერხებენ თუ არა ფარდობით უმრავლესობაში მყოფი პარტიები, რომ კოალიცია შექმნან. თუ ვერ მოახერხებენ, მაშინ კონსტიტუციით ხდება ასე, ტარდება რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, რათა კრიზისი გადაილახოს, მთავრობა შეიქმნას და, სანამ რამე უმრავლესობა არ შეიქმნება, ან კოალიციური, ან ისე, მანამ ძველი მთავრობა დარჩება. მთავრობა შეიცვლება მხოლოდ მაშინ, როცა ახალი უმრავლესობა შეიქმნება პარლამენტში, ეს არის ჩარჩო და ამას არ უნდა გავცდეთ. სამოქალაქო დაპირისპირება ამ საზღვარს არ უნდა გადავიდეს.

— 2020-ში სად ელით სააკაშვილის ადგილს?

— არსად არ ველი, საქართველოში სააკაშვილის ადგილი არ არის, ერთადერთი, მისი ადგილი სასჯელაღსრულების დაწესებულებაა, მატროსოვზე. სხვათა შორის, ესეც ძალიან მნიშვნელოვანია, სააკაშვილი არ არის საქართველოს მოქალაქე, წესითა და კანონით, მას არ აქვს უფლება, ჩვენს პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა მიიღოს. ამით კანონი ირღვევა, როცა ცალკეული მედიასაშუალებები მას ლამის მთავარ ალტერნატიულ ლიდერად წარმოაჩენენ, თითქოს იქით ივანიშვილია, აქეთ სააკაშვილი. ეს ადამიანი ქართული პოლიტიკური კლასისგან სამართლებრივად ჩამოშორებულია. მას უფლება არ აქვს, მონაწილეობდეს აქაურ პროცესებში, მაგრამ მაინც მონაწილეობს. თან იმხელა სახელს უკეთებენ მედიასაშუალებები, რომ ამით კანონი ირღვევა. ეს არის სახელმწიფოებრივი იდენტობის შეურაცხყოფა. ჩვენ თუ საქართველოს კონსტიტუციას პატივს არ ვცემთ, ვინ გვცემს პატივს? რუსი გვცემს პატივს, თუ სხვა ვინმე?

იმავე ზურაბიშვილზე ატყდა ვაი-უშველებელი, ჩვეულად იქცა უკვე, რაც უნდა თქვას სალომემ, გამოდიან და უშვერი სიტყვებით ლანძღავენ, ხან იდიოტს ეძახიან, ხან კგბ-ს აგენტს. ყოფილი პრეზიდენტი ახლანდელ პრეზიდენტს კგბ-ს აგენტს ეძახის. ამით რუსი სიცილით კვდება, ეს არის რუსის მიზანი და, როცა საკუთარ პრეზიდენტს ასე აგინებ, ეს ნიშნავს, რომ შენს სახელმწიფოებრივ იდენტობას ანგრევ.

— ელით, რომ 2020-შიც თავსატეხს გაგვიჩენს ზურაბიშვილი? თუ მას ქართული ენის დახვეწა მოუწევს, რომ ამდენი კითხვები არ გაჩნდეს მისი ნათქვამების გამო?

— ეს აღქმის ამბავია. მისი ქართული მშვენივრად მესმის. ზურაბიშვილი არავითარ თავსატეხს არ გვიჩენს. ერთადერთი ხარვეზი იყო შეწყალებებთან დაკავშირებით, ისიც სისტემური მოუგვარებლობის გამო. სხვა თვალსაზრისით, ვერ ვხედავ ვერაფერს, რისთვისაც შეიძლება პრეზიდენტის არგუმენტირებული კრიტიკა.

— ელით, რომ 2020 წლის არჩევნებამდე მშვიდობიანად მივალთ? და, თუ ასე მოხდება, რამდენი პარტიით დაკომპლექტდება პარლამენტი?

— არ ველი, რომ ამ არჩევნებზე რამე განსხვავებული მოხდება. ჩემი აზრით, 4-5 პარტია შევა პარლამენტში, პირველ ადგილზე აუცილებლად გავა „ქართული ოცნება“, მეორეზე გავლენ „ნაცები“, მესამეზე ისევ „პატრიოტთა ალიანსი“, მეოთხეზე — „ევროპული საქართველო“, კიდევ შეიძლება მოხვდეს „ლელო“ და ეგ იქნება. შეიძლება, „ლეიბორისტებიც“ მოხვდნენ. საბოლოო ჯამში, ველი, რომ უმრავლესობას 76 მანდატი მაინც ექნება, მაგრამ დიდია ალბათობა, ვერ შეძლოს ეს „ოცნებამ“, ყოველ შემთხვევაში, ფარდობითი უმრავლესობის თვალსაზრისით, ყველაზე მეტი მანდატი მაინც „ოცნებას“ ექნება. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ არჩევნებამდე მივალთ და მშვიდობიანად წარიმართება პროცესი.

— რევოლუციურ საფრთხეს ხედავთ?

— დიახ, ვხედავ, მთავარი საფრთხე და გამოწვევა სწორედ ეს არის. რევოლუციას ტყუილად ვაბრალებთ „ნაცებს“, ეს არ არის რევოლუცია, ეს ტიპურად ჰიბრიდული ომის სტრატეგია, სახელმწიფო გადატრიალება, ძალადობაა. პირველი იყო შეიარაღებული სამხედრო პუტჩი, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება როცა დაამხეს. მეორე გააფორმეს „ვარდების რევოლუციად“, სინამდვილეში, ესეც ძალადობა იყო, პარლამენტში შევარდნა, „კმარას“ მეთოდები... ეს იყო საზოგადოების დაბნევა, სიმართლესა და სიცრუეს შორის ზღვარის წაშლა. ახლაც კომბინირებულ ჰიბრიდულ მეთოდებს იყენებენ, ხან აქციებია. მთავარი იარაღი „ვარდების რევოლუციის“ დროსაც და ახლაც არის საინფორმაციო შტურმი, სადეზინფორმაციო სისტემები, რაც 24 საათი მუშაობს.

— ხალხის ძალა არ სჭირდება გადატრიალებას?

— ხალხი ხედავს ამას. არსებობს ეროვნული იდენტობა და არსებობს სახელმწიფოებრივი იდენტობა. რატომღაც ამის გარშემო არ ხდება ხალხის კონსოლიდირება. ახლა შემოაგდეს, რომ თურმე ეროვნული იდენტობა კი არ არის მთავარი, არამედ თითქოს მთავარია პროპორციული არჩევნები. ხალხი ამას არ აჰყვება, ჩვენი ელექტორატის დიდი მასა ამ ურთიერთობების გარკვევაში არ მიიღებს მონაწილეობას.

— არის მოსაზრება, რომ მსოფლიოს საერთოდ არ აინტერესებს საქართველო. მსოფლიო აზრი როგორი იქნება 2020 წელს საქართველოსთან მიმართებით?

— სხვაგვარად რომ ვთქვათ, არის შიში, რომ რუსეთს მიგვაგდებენ? რატომ უნდა აინტერესებდეთ საქართველო? თქვენ გაინტერესებთ, რა ხდება ბურკინა-ფასოში? დონალდ ტრამპმა თქვა ძალიან ზუსტად, ყველამ თავის ქვეყანას თვითონვე მიხედოს. მან თქვა, დემოკრატიისა და თქვენი სახელმწიფოს ბედი თქვენს ხელშია, ჩემსკენ ნუ იყურებით, მე არ ვარ ყველას მამიდა და ყველას პატრონი, ჩამოვიდე და წესრიგი დაგიმყაროთო. ძალიანაც კარგი, თუ დაგვანებებენ თავს, ჩვენს თავს თვითონვე უნდა მივხედოთ.

— რუსეთ-საქართველოს შორის ვითარების გართულებას ელით?

— რუსეთ-საქართველოს შორის პროცესების გართულებას ველი იმ თვალსაზრისით, რომ რუსეთი საქართველოზე ბერკეტებს ფლობს შიდა პოლიტიკური პროცესების თვალსაზრისით. რაც მეტი დესტაბილიზაცია იქნება საქართველოში, ეგ არის რუსეთის სარგებელი. საქართველოში სწორედ ეს საფრთხე არსებობს.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები — ნატოში

ამერიკული გამოცემა „პოლიტიკოს“ ინფორმაციით, აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ნატო-ში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების შეყვანის ინიციატივით გამოვიდა.

თეთრ სახლში ღონისძიებაზე ტრამპმა ნატო-ს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგთან გამართულ სატელეფონო საუბარზე განმარტება გააკეთა და განაცხადა, რომ სტოლტენბერგი მისი შეთავაზებით „აღფრთოვანებული დარჩა“.

„ამას შეიძლება, ვუწოდოთ ნატო პლუს ახლო აღმოსავლეთი (NATO+ME). ძალიან ლამაზი სახელია. სახელების შერჩევა კარგად გამომდის“, — უთხრა ტრამპმა ჟურნალისტებს. მისივე თქმით, „ახლო აღმოსავლეთში არსებობს საერთაშორისო პრობლემა და ამიტომ აშშ-სგან ეს საქმე ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა უნდა გადაიბაროს“.

„ჩვენ შეგვიძლია, დავბრუნდეთ სახლში და გამოვიყენოთ ნატო. მე ვთქვი, რომ ახლო აღმოსავლეთში ნატოს წარმომადგენლობა უნდა გაიზარდოს და ისინი უნდა დაკავდნენ „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლით. ჩვენ მათ დავეხმარებით. ამჟამად ძირითადი კონტრიბუცია ჩვენია. ეს კი არასამართლიანია“ — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა.

აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ ტრამპს ირანის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებები შეუზღუდა

აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ მხარი დაუჭირა რეზოლუციის პროექტს, რომელიც დონალდ ტრამპისთვის ირანთან დაკავშირებით სამხედრო მოქმედებების შეზღუდვას ითვალისწინებს. დოკუმენტის სასარგებლოდ 224 კანონმდებელმა დააფიქსირა ხმა, წინააღმდეგი 194 იყო.

რეზოლუცია პრეზიდენტს ირანის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების დაწყებას იქამდე უკრძალავს, ვიდრე კონგრესის ნებართვა არ იქნება. აღსანიშნავია, რომ 8 იანვარს დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის წევრები, მათ შორის მაიკ პომპეო, კონგრესის წევრებს შეხვდნენ და ერაყში ირანელი გენერლის ლიკვიდაციის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს.

„ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲗ“ ᲒᲐᲡᲠᲝᲚᲘᲚ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲠᲐᲙᲔᲢᲐᲡ ᲨᲔᲬᲘᲠᲣᲚᲘ ᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ

ᲗᲔᲘᲠᲐᲜᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲐᲠᲓᲜᲘᲚ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚ ᲗᲕᲘᲗᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲐᲜᲢᲘᲡᲐᲠᲐ�კᲔᲢᲝ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲗᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲜᲐᲡᲠᲝᲚᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲠᲐᲙᲔᲢᲐ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲗ ᲛᲝᲰᲕᲓᲐ, — ამის შესახებ „ბიბისი“ წერს.

ამასთან, „სიბიესის“ ინფორმაციით, აშშ-ის ხელისუფლების წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ თვითმფრინავს რაკეტა მოხვდა. მანამდე, უკრაინის ხელისუფლებამ თვითმფრინავის კატასტროფის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად რუსული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის, „ტორის“ რაკეტა დაასახელა. „სიბიესი“ აშშ-ის დაზვერვაზე დაყრდნობით წერს, რომ სატელიტმა ორი რაკეტის გაშვების ინფრაწითელი შუქი დააფიქსირა, რის შემდეგაც რადარზე კიდევ ერთი აფეთქების გამოსახულება გამოჩნდა. თეირანში 8 იანვარს მომხდარ ავიაკატასტროფას 167 მგზავრი და ეკიპაჟის 9 წევრი ემსხვერპლა. თავდაპირველად ირანში აცხადებდნენ, რომ უკრაინული „ბოინგის“ ჩამოვარდნა ტექნიკურ მიზეზებს უკავშირდება. თავის მხრივ, ავიაკომპანიაში აცხადებენ, რომ თვითმფრინავმა ტექნიკური შემოწმება 6 იანვარს გაიარა და რაიმე ხარვეზი დაფიქსირებული არ ყოფილა.

* * *

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚᲘ **სამგზავრო თვითმფრინავის კატასტროფა რაკეტის მოხვედრას არ გამოუწვევია,** — ამის შესახებ ირანის სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა განაცხადა.

ალი აბედზადეს თქმით, თვითმფრინავზე რაკეტის მოხვედრის შემთხვევაში, საჰაერო ხომალდის ნაწილები უფრო დიდ ტერიტორიაზე იქნებოდა აღმოჩენილი.

„ტექნიკური ანგარიში დასრულებულია და გამოქვეყნდება. თვითმფრინავს აფრენის შემდეგ ცეცხლი გაუჩნდა. წინასწარი მონაცემებით, მფრინავმა აეროპორტში დაბრუნება გადაწყვიტა და მისი მთავარი პრიორიტეტი მგზავრების უსაფრთხოება იყო. აფრენიდან რამდენიმე წუთში, მფრინავი დაუკავშირდა საკონტროლო კოშკს, მანამდე კი ექვსი ათას ფუტზე სიმაღლის მომატებაზე თანხმობა მოითხოვა. უფრო კონკრეტული ინფორმაცია შავი ყუთების გაშიფვრის შემდეგ გახდება ცნობილი. ველოდებით, რომ სხვა ქვეყნებიც დაგვეხმარებიან გამოძიებაში“, — აღნიშნა აბედზადემ. ირანის სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის ხელმძღვანელის თქმით, თვითმფრინავის ე.წ. შავი ყუთები დაზიანებულია და მათ აღდგენას გარკვეული დრო დასჭირდება. ალი აბედზადეს განცხადებით, თუ ირანელი ტექნიკური ექსპერტები შავი ყუთების აღდგენას ვერ შეძლებენ, თეირანი დახმარებისთვის სხვა ქვეყნებს მიმართავს.

* * *

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲛᲐ **გამოცემა „ნიუ იორკ თაიმსმა“ გამოაქვეყნა ვიდეო, რომელზეც შესაძლოა, უკრაინულ თვითმფრინავზე რაკეტის შეჯახება იყოს ასახული. გამოცემა წერს, რომ გადაამოწმა სოციალურ ქსელში გავრცელებული ვიდეო, რომლითაც დასტურდება, რომ უკრაინულ ავიალაინერს აფრენიდან რამდენიმე წუთში ობიექტი ეჯახება, რის შემდეგაც ბოინგი ფეთქდება და ვარდება.**

„ნიუ იორკ თაიმსი“ ირწმუნება, რომ ვიდეოზე დაფიქსირებულია სწორედ ის მომენტი, როდესაც უკრაინულ ავიალაინერს აფრენიდან რამდენიმე წუთში რაკეტა ეჯახება. გამოცემა წერს, რომ რაკეტის მოხვედრის შემდეგ ავიალაინერი არ ფეთქდება, თვითმფრინავი აგრძელებს ფრენას და უკან, აეროპორტისკენ იღებს გეზს, თუმცა მალევე ფეთქდება და ვარდება. ამასთან, ცაში სინათლის გაელვების შემდეგ ისმის ხმა, რომელიც ამერიკული მედიის ცნობით, შესაძლოა, რაკეტის აფეთქების ხმა იყოს.

ᲢᲠᲐᲛᲞᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲡᲝᲚᲔᲘᲛᲐᲜᲘ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲐᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲕᲓᲐ

ᲐᲨᲨ-ᲘᲡ პრეზიდენტის დონალდ ტრამპის თქმით გენერალი ყასემ სოლეიმანი ბაღდადში აშშ-ის საელჩოს აფეთქებას გეგმავდა.

„ჩვენ ტოტალური მონსტრი დავიჭირეთ. ეს ადრე უნდა მომხდარიყო. ეს გავაკეთეთ, რადგან ისინი ჩვენი საელჩოს აფეთქებას გეგმავდნენ. ეს ასევე გავაკეთეთ სხვა მიზეზებითაც, რომლებიც ძალიან აშკარა იყო. ვიღაც მოკვდა. ხალხი მძიმედ დაშავდა ერთი კვირით ადრე და ჩვენ ეს გავაკეთეთ“, — განაცხადა დონალდ ტრამპმა.

◎ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ

ᲤᲘᲠᲓᲝᲣᲡᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲐᲑᲘᲯᲔᲑᲡ

ᲒᲐᲡᲣᲚ, 2019 წელს, წიგნის თაროებზე გამოჩნდა **მურმან თავდიშვილის** ახალი რომანი **„ფირდოუსი“**.

მურმანი — ფილოლოგი, რუსთველოლოგი, მეცნიერების დოქტორი, ფართოდ არის ცნობილი სამეცნიერო წრეებში (მის წიგნს — რუსთველოლოგიურ ძიებას „ვეფხისტყაოსნის“ აღდგენილი სტროფების შესახებ, თავის დროზე დიდი გამოხმაურება და აღიარება მოჰყვა), მაგრამ ის მკითხველისთვის ცნობილია თავისი მხატვრული პროზითაც: რამდენიმე წლის წინათ დაბეჭდილი რომანი „კეისარი“ მკითხველმა თბილად მიიღო, ამჯერად კი „ფირდოუსია“ „განსასჯელი“. „კეისრისგან“ განსხვავებით, „ფირდოუსი“ ბიოგრაფიული რომანია უდიდესი სპარსელი პოეტისა და მოაზროვნის შესახებ, რომელმაც ძალზე დიდი კვალი დატოვა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში.

სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის მშვენების ეპოს „შაჰნამეს“ ავტორის ფირდოუს ჰაქიმ აბულ-ყასემ ტუსის (934/940 — 1020/1930 წ.წ.) ნამდვილი სახელი უცნობია, ფირდოუსი კი ნიშნავს „სამოთხელს“, ჰაქიმი — „ბრძენს“, აბულ-ყასემი „ყასემის მამას“, ტუსი წარმომავლობას აღნიშნავს — „ტუსელი“.

ფირდოუსი ადრევე დაინტერესდა ძველი ისტორიულ-ლიტერატურული ლეგენდებით, რომელთა ვრცელი პროზაული კრებულები ფალაურ, არაბულ და ახალ სპარსულ ენებზე პოპულარული იყო მის დროს. განსაკუთრებით გამოირჩეოდა აბუ-მანსურისეული პროზაული „შაჰნამე“, რისი გაღლექსვაც დაიწყო პოეტმა დაყიყმა. მისი სიკვდილის შემდეგ ფორდოუსმა გააგრძელა „შაჰნამეს“ გალექსვა და თითქმის 30 წელი მოანდომა შედევრის შექმნას.

ბატონი მურმანი შთამბეჭდავად აგვიწერს პოეტის ცხოვრებას, მისი შემოქმედების წიაღსვლებს და ყოფას (ცოლის და შვილის სიკვდილს, სიღარიბეს, დასნეულებას), დაპირისპირებას თურქული მოდგმის სულთან მაჰმუდ ღაზნევისთან, რომელმაც პოეტის მფარველი სამანიდთა დინასტია დაამხო. პოეტს ადრესატი და დამკვეთი მოეშალა, უამისოდ კი ვერც ავტორი მიიღებდა გასამრჯელოს და ვერც თხზულება მოიპოვებდა ოფიციალურ აღიარებას. მოშურნეთა მეცადინეობით კონფლიქტი სულთანსა და პოეტს შორის გაღრმავდა და ფირდოუსი მშობლიური კუთხიდან გადაიხვეწა, სულთანი კი გვიან დარწმუნდა „შაჰნამეს“ ღირსებებში.

ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲜᲝᲛᲐᲓᲘ ᲑᲐᲠᲗᲐᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲠᲛᲐᲜ ᲗᲐᲕᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲓᲒᲐᲡ „ᲨᲐᲰᲜᲐᲛᲔᲡ“ ᲓᲔᲙᲚᲐᲛᲐᲢᲝᲠᲘ, ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲜᲐᲧᲐᲚᲘ ᲕᲐᲠᲛᲐᲖ-ᲘᲐᲠᲘ

მსოფლიო მასშტაბის უნიკალური ეპიკური ნაწარმოები „შაჰნამე“ („მეფეთა წიგნი“, ან „წიგნი მეფეთა შესახებ“) შედგება დაახლოებით 50 ათასი ბეითისგან (100 ათასი სტრიქონი), დაწერილია წყვილად გარითმული ტაეპებით, სალექსო ფორმით. იგი ფირდოუსის ერთადერთი თხზულებაა. მოარული ტრადიცია გვაუწყებს, რომ მას სიბერეში შეუთხზავს პოემა „იოსები და ზელიხა“, მაგრამ მკვლევარები უარყოფენ ფირდოუსის ავტორობას. მურმან თავდიშვილი ამ აზრს არ იზიარებს და რომანში აღწერს, თუ როგორ მუშაობდა მისი გმირი ამ პოემაზე.

ქართველები ადრევე იცნობდნენ ფირდოუსის თხზულებას, მაგრამ ძველ თარგმანებს ჩვენამდე არ მოუღწევია, XVI-XVII საუკუნეებში გაჩნდა „შაჰნამეს“ ქართული ვერსიები, ე.წ. აღორძინების ეპოქაში შეიქმნა როგორც მისი პოეტური („როსტომიანი“, „ზააქიანი“, „უთრუთიან-საამიანი“), ისე პროზაული („ფრიდონიანი“, „უთრუთიან-საამიანი“, „წიგნი საამ ფალავნისა“) ვერსიები. გვაქვს ცალკეული ეპიზოდების ახალი ქართული თარგმანები. „შაჰნამე“ უკანასკნელ წლებში პოეტურად თარგმნა და გამოსცა ჩვენმა ცნობილმა პოეტმა, ქალბატონმა ბელა შავლაშვილმა.

პირველი, რაც უმალ მოუვა თავში მკითხველს, ის არის, თუ რა კარგად გაურთმევია რომანის ავტორს თავი იმ ეპოქის გათავისებისთვის, რომელზეც წერს. ეს არის X-XI საუკუნეების სპარსეთის პროვინცია ხორასნის ყოფა, დეჰყანების (გლეხების) ცხოვრება, ნაყალების (მთქმელების, ტექსტების წამკითხველების) ინსტიტუტის არსი. ფირდოუსიც ნაყალი იყო, სამიკიტნოებში კითხულობდა ძველი ავტორებისა და თავის ნაწარმოებებს.

თხრობაში ორგანულად არის ჩაწნული სპარსული სიტყვები, რომლებიც ძველთაგანვე დამკვიდრდა ქართულ მეტყველებაში: ალუბალუ (ალუბალი), უსტა (მასწავლებელი, ოსტატი), აბდალა (ყმაწვილი, გამოუცდელი), საარი (დილის საყვირის ხმა), დივანხანა (საფიხვნო), ლაყაბი (ხოტბა), გვრდემლი (ტყვიის საგანგებო დაფა ალმასის დასაწახნაგებლად), ალვა (კვიპაროსი, ედემის ხე), ჰაქიმი (მცოდნე, ფილოსოფოსი), იშტა (წადილი), მურაზი (გულის სურვილი), მისრი (ეგვიპტე), აშუღი (სახალხო მომღერალი და მელექსე), თულუხჩი (წყლის გამყიდველი) და სხვ. ტექსტი უხვად არის დამშვენებული მომხიბვლელი შედარებებით: „ისე კეთილად გაიღიმა, თითქოს ნატიფად ნაჭედმა ბაჯაღლო ბეჭედმა გაიელვაო აგვისტოს მზეზე“, „ვისაც ცხოვრებამ ვერაფერი ასწავლა, იმას კაციშვილი ვერას ასწავლის“, „ომის მოგება ადვილია, გაცილებით ძნელია მშვიდობის მოგება“...

რომანში ფირდოუსის გარდა მოქმედებენ ისტორიული პირნი, პოეტები დაყიყი, ონსორი და სხვ.

რომანის რედაქტორია ცნობილი ირანისტი და მწერალი ნომადი ბართაია, რაც გვაკვალიანებს იმაში, რომ თხრობა უხვადაა გაჯერებული სპარსული ენის სურნელით, რაც მიმზიდველს ხდის წიგნს, ოღონდ არამც და არამც ეს თვითმიზანი არ არის.

ბატონ მურმანს ვკითხე, თუ რატომ აირჩია რომანის თემად ასე შორეული ფირდოუსის ცხოვრება და შემოქმედება. ირკვევა, რომ რამდენიმე წლის წინათ მისმა ლიტერატურულ-ისტორიულმა გამოკვლევამ „რუსთაველი და ფირდოუსი“ დავით აღმაშენებლის პრემია მოიპოვა. ისე რომ, ნარკვევის რომანად გარდაქმნა ძალიან არ გამჭირვებიაო.

თუ რამდენად ღირებული რომანი გამოუვიდა, ამაზე ავტორიტეტულ დასკვნას მკითხველი გამოიტანს.

ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

◎ ლეგიონერი

შენგელიას სუპერთამაში

თორნიკე შენგელიამ ევროლიგაში ფანტასტიკური თამაში ჩაატარა, მაგრამ მიუხედავად ამისა, „ბასკონიამ“ კიდევ ერთი მარცხი განიცადა. მე-18 ტურში ვიტორიელებმა სტამბოლის „ფენერბახჩეს“ უმასპინძლეს და ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს – 65:79.

„ფენერი“ ესპანეთში მთელი თამაშის განმავლობაში დომინირებდა და გამარჯვება უპირველესად გუნდურობის ხარჯზე მოახერხა. მართალია, „ბასკონიას“ რიგებში შენგელია შეუჩერებელი იყო, მაგრამ სამწუხაროდ, მის გვერდით არ აღმოჩნდა მოთამაშე (უკვე მერამდენედ), რომელიც მხარს სათანადოდ აუბამდა.

თორნიკემ პრაქტიკულად შეუცვლელად ითამაშა და 37 წუთში 21 ქულა, 7 მოხსნა, 3 პასი, 1 ჩაჭრა და 3 დაფარება მიითვალა. ქართველმა მძიმე ფორვარდმა 8-დან 6 ორქულიანი, 2-დან 2 სამქულიანი და 3-დან 3 საჯარიმო ჩააგდო.

როგორც ხედავთ, „თოკომოტივმა“ თითქმის უშეცდომოდ ითამაშა შეტევაში და მხოლოდ ორი სროლა გააცუდა (13-დან). შედეგად, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 37(!) აღმოჩნდა. ორივე გუნდის რიგებში სარგებლიანობის მაჩვენებლით შენგელიას, უბრალოდ, ბადალი არ ჰყოლია (მეორე შედეგი ამ კუთხით 24 იყო, რომელიც დერეკ უილიამსმა დააფიქსირა), ხოლო 21 ქულით მატჩის თანაბომბარდირი გახდა ლეო ვესტერმანთან ერთად.

მოკლედ, შენგელიამ მორიგი სუპერმატჩი ჩაატარა და მის გარჯას სულაც არ აკნინებს „ბასკონიას“ უფერული თამაში. ესპანური გუნდი რთულ ვითარებაშია, 18 მატჩში 7 მოგებითა და 11 წაგებით მხოლოდ მე-13 ადგილზეა, ხოლო მომდევნო ტურში 15 იანვარს „ზენიტს“ ესტუმრება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი

სანაკრებო სეზონის სტარტზე

„ბორჯღალოსანთა“ 2020 წლის პირველ მატჩამდე 20 დღე დარჩა. ტრადიციულად, ჩვენი გუნდი წლის დასაწყისში რაგბის ევროპის ჩემპიონატში ჩაერთვება და ტიტულის მე-12-ედ მოპოვებას ეცდება.

5-თვიანი შესვენების შემდეგ, „ბორჯღალოსნები“ საკუთარი ქომაგის წინაშე პირველად 1 თებერვალს „დინამო არენაზე“ ითამაშებენ, მეტოქედ კი რაგბი ევროპის ჩემპიონატზე უმთავრესი კონკურენტი რუმინეთის ნაკრები ეყოლებათ..

2020 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის პირველი მატჩისთვის „ბორჯღალოსნები“ იანვრის ბოლოს შეიკრიბებიან და ნაკრების გაფართოებული შემადგენლობაც ამ დროს გახდება ცნობილი, ხოლო მანამდე, ტრადიციულად, საქართველოში მყოფი „ბორჯღალოსნები“ და ნაკრების კანდიდატები კვირაში რამდენჯერმე „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე იკრიბებიან და ლევან მაისაშვილის ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ.

რაგბი ევროპის 6-გუნდა ჩემპიონატი 2000 წლიდან იმართება. 2016 წლამდე მას ერთა თასი ეწოდებოდა, მას შემდეგ კი რაგბი ევროპის ჩემპიონატად გადაკეთდა. ტურნირმა რამდენჯერმე შეიცვალა ფორმატი. თავიდან უძლიერესი ერთი წლის შედეგების მიხედვით ვლინდებოდა, მერე გამარჯვებულის გამოსავლენად ორი წლის ჯამი ითვლებოდა, 2010 წლიდან კი კვლავ ერთწლიან ციკლს დაუბრუნდა.

შედეგად, რაგბი ევროპის ჩემპიონი 17-ჯერ გამოვლინდა და აქედან 11-ჯერ მთავარი ჯილდო საქართველომ ჩაიბარა, 5-ჯერ რუმინეთმა და ერთადერთხელ პორტუგალიამ (2004 წელს). აღსანიშნავია, რომ იმ წელს ჩვენს გუნდს ყველაზე ცუდი შედეგი ჰქონდა და საბოლოოდ მესამე ადგილი დაიკავა.

2011 წლიდან „ბორჯღალოსნები“ ტურნირის უმთავრეს ფავორიტებად იქცნენ და 9 გათამაშებიდან 8 პირველ ადგილზე დაასრულეს, აქედან 6-ჯერ ზედიზედ (2017 წელს ჩემპიონი რუმინეთი გახდა), რაც სარეკორდო მაჩვენებელია. განვლილ 20 წელიწადში

„ბორჯღალოსნებს“ რაგბი ევროპაზე ზუსტად 100 მატჩი აქვთ ჩატარებული და მათგან 83-ში გამარჯვება მოიპოვეს, 4 კი ფრედ დაასრულეს.

2013-2017 წლებში „ბორჯღალოსნებმა“ რაგბი ევროპის ჩემპიონატზე ზედიზედ 23 შეხვედრა მოიგეს, რაც ასევე სარეკორდო მაჩვენებელია. ჩვენი გუნდი ლიდერობს საკუთარ მოედანზე მიჯრით მოგებული მატჩების რაოდენობითაც. სერია 2009 წელს დაიწყო და დღემდე 29 მატჩს ითვლის.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფეხბურთი

კაცი ბჭობდა...

გულშემატკივართა ძველი გვარდიისგან ხშირად გვსმენია, ილია დათუნაშვილი და ვალერი ლობანოვსკი კუთხურებს პენალტივით ასრულებდნენ და უშუალოდ ჩაწოდებით არაერთი გოლი აქვთ გატანილიო.

ამჯერად წინამორბედებს მადრიდის „რეალის“ გერმანელმა ნახევარმცველმა თომას კროოსმა მიბაძა და „ვალენსიასთან“ ესპანეთის სუპერთასის ნახევარფინალში ბურთი ისე ოსტატურად ჩაახვია, რომ მეტოქის მეკარე უძლური აღმოჩნდა.

მთლიანობაში „სამეფო კლუბმა“ პირველივე ტაიმში ჩაუყარა მყარი საფუძველი გამარჯვებას და უპრობლემოდ მიიყვანა საქმე ლოგიკურ დასასრულამდე – 3:1, რამაც ზინედინ ზიდანის გუნდს სატიტულო ბრძოლის პირველი საგზური მოუტანა.

აღნიშნულ ტურნირს წლეულს საუდის არაბეთის ქალაქი ჯიდა პირველად მასპინძლობს და იგი განსხვავებული ფორმატით იმართება. დიდი მარჩიელობა არაა საჭირო იმის გამოსაცნობად, რომ პრიმერადივიზიონის რჩეულთა კვარტეტის ბრძოლების სხვა კონტინენტზე გადატანა სოლიდურ კომერციულ დივიდენდებთანაა დაკავშირებული, რასაც დამარცხებულის საბანკო

ანგარიშის ცხრა მილიონით შევსებაც ადასტურებს.

ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ყველა მოუთმენლად ელოდა კიდევ ერთ ელ კლასიკოს, მაგრამ...

მას შემდეგ, რაც უღიმღამო პირველი ნახევრის შემდეგ მესიმ და გრიზმანმა „ბარსელონა“ დააწინაურეს, „ატლეტიკო“ განწირულად გამოიყურებოდა, თუმცა, კატალონიელებზე დამთრგუნველად იმოქმედა ვიდეორეფერის მიერ არჩათვლილმა გოლმა, რომელმაც პიკეს თამაშგარე მდგომარეობა დაუფიქსირა, კვანძი კი დასკვნით ათწუთიან მონაკვეთში მორატამ (პენალტით) და კორეამ გახსნეს – 2:2. ეს დიეგო სიმეონეს მიერ ერნესტო ვალვერდესთან მწვრთნელთა დუელში მოპოვებული პირველი გამარჯვებაა.

დავძენთ, რომ ფინალად ქცეული მადრიდული დერბი „რეალი“ – „ატლეტიკო“ ხვალ თბილისის დროით 20 საათზე დაიწყება.

გიორგი ზოთაძე

◎ ლოზანა – 2020

79 ქვეყანა, 1872 მონაწილე

ლოზანის ზამთრის III ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებს რეკორდულად ბევრი – 79 ქვეყნის 1872 მონაწილე ეყოლება. ეს მნიშვნელოვნად აღემატება საინაუგურაციო (ინსბრუკი – 2012) თამაშებს, რომელშიც მონაწილეობდა 69 ქვეყნის 1059 ათლეტი, ხოლო მეორე თამაშებმა (ლილეჰამერი-2016) 70 ქვეყნის 1100 ოლიმპიელი შემოიკრიბა.

მონაწილეთა ზრდაზე მნიშნელოვანი როლი ითამაშა ორნაკადიანი სისტემის შემოღებამ, რაც, თავის მხრივ, ითვალისწინებს ათლეტთათვის ოლიმპიურ სოფელში სხვადასხვა დროს დარჩენას.

ისინი შვეიცარიაში პირველი ნაკადის გუნდებს უკვე მიესალმნენ. შეჯიბრებები 15 იანვრამდეა, მეორე ნაკადისა – 16-დან თამაშების დახურვამდე – 22 იანვრამდე. ოლიმპიელები შესახლებულები არიან ლოზანის უნივერსიტეტისთვის საგანგებოდ აგებულ საერთო საცხოვრებელში, რომელიც ზაფხულიდან დაახლოებით 1000 სტუდენტს, უნივერსიტეტის თანამშრომლებსა და მის სტუმრებს დააბინავებს.

ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე ყველაზე დიდი – 112-კაციანი გუნდით მასპინძელი შვეიცარია გამოვა. 107 სპორტსმენი ეყოლება რუსეთს, ხოლო 96 ათლეტით წარსდგება აშშ. საქართველო თამაშებზე 10 სპორტსმენით იქნება წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ ეს იქნება 100 პროცენტით გენდერულად თანაბარი ზამთრის თამაშები, რომელშიც 15-დან 18 წლამდე ასაკის სპორტსმენები გამოვლენ.

საგულისხმოა, რომ ფორუმის დასრულების შემდეგ უშუალოდ შეჯიბრების ადგილებში გაიმართება მედალოსანთათვის თილისმების გადაცემის ცერემონია, ოფიციალური დაჯილდოების ცერემონიალი კი მოგვიანებით, ლოზანაში საგანგებოდ მოწყობილ მოედანზე შედგება.

ბეჟან დოლიძე

◎ ჩოგბურთი

სერბეთი ნახევარფინალშია

ATP CUP-ზე სერბეთის ნაკრებმა კანადა 3:0 დაამარცხა და ნახევარფინალში რუსეთს შეხვდება.

ნოვაკ ჯოკოვიჩმა დენის შაპოვალოვი 4:6, 6:1, 7:6 დაამარცხა. პირველ სეტში ნოვაკმა 4:4-ზე თავის ჩაწოდება დაკარგა და სეტის შემობრუნება ვეღარ მოახერხა. მეორე პარტიაში სერბმა მეტოქე მარტივად დაჩაგრა. ხოლო გადამწყვეტი მესამე სეტის ტაი-ბრეიკი ჯოკოვიჩმა 7:4 მოიგო.

მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა დუშან ლაიოვიჩსა და ოჟე-ალიასიმის მატჩში. სერბმა მარტივად – 6:4, 6:2 იმარჯვა.

მეორე ნახევარფინალში ავსტრალია თავის მეტოქეს ელოდება, რომელიც ესპანეთი-ბელგიას შორის გამარჯვებული იქნება.

მანუჩარ გიორგაძე



ანტარქტიდის ყინულების ქვეშ დედამიწის ხმელეთის ულრმესი კანიონი აღმოაჩინეს

ანტარქტიდის მყინვარული საფარი დედამიწის უდიდესი ერთიანი ყინულის მასაა, მაგრამ რა არის მის ქვეშ — ჯერ კიდევ საიდუმლოებით არის მოცული.

დღეისათვის ანტარქტიდის მყინვარული საფარის ნახევარზე მეტის სისქე ხმელეთიდან 5 კმ-ზე მეტია, თუმცა, გაყინულ კონტინენტზე არსებობს რამდენიმე ადგილი, რომლის შესახებაც მონაცემები არ გვაქვს.

ახლახან მეცნიერებმა შექმნეს ანტარქტიდის მწვერვალებისა და ხეობების დეტალური რუკა, რომელმაც დედამიწის ყველაზე ღრმა ხმელეთის კანიონი გამოავლინა; მდებარეობს დენმენის მყინვარის ვიწრო რეგიონში.

კანიონი ზღვის დონის დაბლა 3500 მეტრამდე ჩადის; ყინულის ამ მასის ქვეშ, ხმელეთის ფსკერი ოკეანის საშუალო სიღრმის ნახევარზე დაბლაა, რვაჯერ უფრო ღრმად, ვიდრე მკვდარი ზღვის სანაპიროები, რომელიც ამჟამად დედამიწის ყველაზე დაბალი მოშიშვლებული ხმელეთია.

ანტარქტიდის წინა აეროკვლევები ძირითადად რადარებს ეფუძნებოდა და სრული სიღრმეების გაზომვა არ შეეძლო. თუმცა, ახლახან გამოქვეყნებული რუკა სახელად BedMachine ყინულებში უფრო ღრმად სწვდება, ვიდრე რომელიმე მსგავსი რუკა აქამდე.

კალიფორნიის უნივერსიტეტის მკვლევრის **მეთიუ მორლინგჰემის** განცხადებით, დენმენის მყინვარის საყრდენის ზონდირება აქამდეც მრავალჯერ სცადეს, მაგრამ კანიონზე ყოველი გადაფრენისას, რადარულ მონაცემებში მას ვერ აფიქსირებდნენ.

მისი თქმით, ყველაზე ღრმა წერტილი ისეა ჩამაგრებული, რომ ხეობის გვერდითა კედლების ექო შეუძლებელს ხდის მყინვარის საძირკვლიდან არეკლილი ექოს დაფიქსირებას.

ეს ტოპოგრაფიული რუკა აერთიანებს 1967 წლიდან დღემდე 19 სხვადასხვა კვლევითი ინსტიტუტის მიერ შეგროვებულ მონაცემებს, რადარული ზონდირების თითქმის 1,5 მლნ-კილომეტრიან ხაზს. რუკა ბევრ რამეს გვეუბნება იმის შესახებ, თუ როგორ აჩქარდება და შენელდება ანტარქტიდის ყინულებქვეშ არსებული მინა, ასევე როგორ ჩერდება მყინვარების უკან დახევა.

მორლიგჰემის განცხადებით, წინა რუკები უფრო თავთხელ კანიონზე მიუთითებდა, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ ეს შეუძლებელი იყო, რადგან მონაცემებს რაღაც აკლდა.

მართლაც, მათი ვარაუდი გამართლდა, ახალმა გაზომვებმა რამდენიმე სიურპრიზი გამოამჟღავნა. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ მყინვარების აღდგენისა და მხარდაჭერის ძალების ქვეშ საძირკველი წინა პროგნოზებზე ასობით მეტრით ღრმაა, რაც იმას ნიშნავს, რომ დათბობის პარალელურად, ყინულის ეს ფენები უკუქცევის უფრო დიდი რისკის ქვეშ არის.

სხვა კვლევების შედეგების მსგავსად, მკვლევრებმა აღმოაჩინეს, რომ ზღვის ყინულის უკან დახევისადმი ყველაზე მოწყვლადი რეგიონები ძირითადად განთავსებულია დასავლეთ ანტარქტიკაში, მაგალითად, ტუეიტსისა და პაინის კუნძულის მყინვარები.

თუმცა, კონტინენტის ყველა რეგიონი თანაბარი რისკის ქვეშ როდია. გაირკვა, რომ ვრცელი და სტაბილური ქედების გამო, არასტაბილურობის ყველაზე დაბალი შანსი აქვს როსის ზღვის სექტორსა და ტრანსანტარქტიკულ მთებს.

როგორც მორლინგჰემი აღნიშნავს, საბოლოო ჯამში მივიღეთ ანტარქტიდის შერეული სურათი. ზოგიერთ ზონებში ყინულის ნაკადებს შედარებით კარგად იცავს მათ ქვეშ არსებული ხმელეთის მახასიათებლები, ზოგიერთ რეტროგრადულ საძირკველს კი საფრთხეს უქმნის ზღვის ყინულოვანი საფარის არასტაბილურობა.

დენმენის უფსკრული მდებარეობს განსაკუთრებით მოუხელთებელ ადგილას. მკვლევართა განცხადებით, ზოგიერთ მყინვარს 50-კილომეტრიანი უკუქცევა სჭირდება, რათა ის რეტროგრადულ საძირკველს მისწვდეს, მაგრამ ამ მყინვარის შემთხვევაში, ეს მანძილი უფრო ნაკლებია. გარდა ამისა, აღმოსავლეთ ანტარქტიდის ეს სექტორი საკმაოდ მოწყვლადია ზღვის დონის 1,5 მეტრით მატების წინაშე.

წლის დასაწყისში მეცნიერებმა გააკეთეს პროგნოზი, თუ რამდენით მოიმატებს ზღვის დონე მხოლოდ დასავლეთ ანტარქტიკის მყინვარული საფარის კოლაფსის შემთხვევაში. ახლა კი ისინი აცხადებენ, რომ ამ რეგიონის დნობა ზღვის დონეს კიდევ სამი მეტრით აწევს.

დედამიწის ისტორიაში ბოლოს, როცა ნახშირბადის დონემ ატმოსფეროში მილიონზე 400 მილიონ ნაწილაკს გადააჭარბა (ამჟამად უკვე არის 415 ნაწილაკი), გადნა ანტარქტიდის მყინვარული საფარის მესამედი, რამაც ზღვის დონის 20 მეტრით აწევა გამოიწვია.

1992 წლიდან დღემდე ანტარქტიდამ უკვე დაკარგა 3 ტრილიონი ტონა ყინული; სამწუხაროდ, დნობის მაჩვენებელი წლიდან წლამდე იმატებს.

კვლევა ჟურნალ Nature Geoscience-ში გამოქვეყნდა.
მომზადებულია news.uci.edu-სა და ScienceAlert-ის მიხედვით.

რა დანიშნულება ჰქონდა აღდგომის კუნძულის ქანდაკებებს?

დიდი ხნის საიდუმლო ამოხსნილია

ისინი უკვე ასობით წელია, გაუნძრევლად დგანან და მდუმარებას გასცქერიან — მოაი, იდუმალებით მოცული ათასამდე მონოლითური ქანდაკება, რომლებიც დედამიწის ყველაზე იზოლირებულ ადგილას, აღდგომის კუნძულზეა აღმართული.

მკვლევრებს დიდი ხანია, საგონებელში აგდებს, თუ როგორ შექმნეს ეს კერპები და რატომ დაემხო შემდეგ პოლინეზიური ცივილიზაცია, რომელმაც ისინი აღმართა. ბოლომდე გაურკვეველია ამ ქანდაკებების სიმბოლური მნიშვნელობაც.

თუმცა, ახალი საერთაშორისო კვლევა სრულიად ახალ მოსაზრებას გვთავაზობს იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა მოაის ქანდაკებები კუნძულელებისთვის, რომლებმაც ისინი საგანგებო კარიერებში გამოკვეთეს.

სკულპტურების 90 პროცენტზე მეტი გამოაქანდაკეს კარიერში, რომელსაც რანო-რარაკუს უწოდებდნენ. ეს გახლავთ ვულკანური კრატერი, რომლის ფუძეც კუნძულის მთლიანი ფართობის ერთ პროცენტს იკავებს; ის კუნძულზე მიმოფანტული მეგალითური სკულპტურული ობიექტების წარმოებაში გამოყენებული ქვის ერთადერთი წყაროა.

რეგიონში აღებული ქანების ანალიზების შემდეგ, მკვლევრები აცხადებენ, რომ რანო-რარაკუში მეტი რამ იმალება, ვიდრე უბრალოდ კლდოვანი ქანები.

აშშ-ის სივენის სამხრეთის უნივერსიტეტის გეოარქეოლოგის სარა შერვუდის განცხადებით, ანალიზების ქიმიურმა შედეგებმა იგი იმდენად გააოცა, რომ ნიმუშები ორჯერ აიღო.

საქმე ის არის, რომ ამ საბადოში აღმოჩნდა ისეთი ნივთიერებების მაღალი დონე, რომელთა არსებობაც მეცნიერებს იქ ვერ წარმოედგინათ — მაგალითად, კალციუმი და ფოსფორი. ნიადაგის ქიმიურმა ანალიზმა აჩვენა მცენარეების ზრდისა და დიდი მოსავლისთვის გადამწყვეტ ქიმიურ ელემენტთა მაღალი დონეც.

მკვლევართა ჯგუფის განცხადებით, ზოგადი შეხედულების მიხედვით, ამ კარიერის რეგიონი წარმოადგენდა ინდუსტრიულ ადგილს, რომელსაც მოაის ქანდაკებების დასამზადებლად და დროებით შესანახად იყენებდნენ; შემდეგ კი ისინი კუნძულის სხვადასხვა ადგილას გადაჰქონდათ და აღმართავდნენ.

თუმცა, თითქმის 400 ქანდაკება კარიერშია დატოვებული, ზოგიერთი კი ნიადაგშია ჩამარხული გამაგრებული ქანების სტრუქტურების დახმარებით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი იქ დროებით არ მოუთავსებიათ. მკვლევართა თქმით, ამის მიზეზი შეიძლება იყოს უნიკალურად მდიდარი ნიადაგი.

როგორც შერვუდი აღნიშნავს, კუნძულზე ნიადაგი ყველგან სწრაფად გამოიფიტა და ეროდირდა, გამოილია მცენარეთა საკვები ელემენტები.

თუმცა კარიერში, სადაც გამოქანდაკების პროცესის შედეგად მუდმივად იბნეოდა მიწის პატარა ფრაგმენტები და წარმოიქმნებოდა წყლის, ბუნებრივი სასუქისა და საკვები ნივთიერებების ბრწყინვალე უკუკავშირის სისტემა.

გარდა ნაყოფიერი ნიადაგის მტკიცებულებისა, მკვლევრებმა ნიმუშებში ასევე იპოვეს უძველეს კულტურათა კვალი. მათ შორის არის ბანანი, ტარო, ტკბილი კარტოფილი და თუთის ხე.

მეცნიერთა აზრით, ყველა ნიშანი იმაზე მიუთითებს, რომ მოაის წარმოების გარდა, რაპა-ნუის საზოგადოება კარიერს ასევე იყენებდა საკვების მოსაყვან სივრცედ. **რანო-რარაკუს** მდიდარ ნიადაგზე უხვი მოსავალი შედარებით ნაკლები შრომის შედეგად უნდა მოსულიყო.

როგორც ავტორები განმარტავენ, მონაცემებზე და რანო-რარაკუს ქვებსა და მის მეგალითურ რესურსებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ეს ადგილი მათთვის განსაკუთრებით ღირებული და დაცული იყო. როგორც ჩანს, მოსავლის გაზრდის მიზნით, ნიადაგი აქედან სხვა ადგილებშიც გადაჰქონდათ.

თუმცა, საინტერესოა, რატომ აღმართეს მოაის ქანდაკებები უშუალოდ კრატერშიც, სადაც მათ აწარმოებდნენ?

დიდი ხანია მიიჩნევა, რომ მონოლითების ცერემონიული დანიშნულება დაკავშირებული იყო ნაყოფიერების რიტულებთან; მკვლევართა აზრით, მათ მიერ ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგად, გაჩნდა ამის ქიმიური მტკიცებულებაც. ამოჭრილი ორმოების აღმოჩენა ასევე მიუთითებს, რომ მოაის, სავარაუდოდ, აღმართავდნენ იმიტომ, რომ ამ ქანდაკებებს მათი მწვანე სავარგულებისთვის უსასრულოდ ეცქირათ.

ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის არქეოლოგის, **ჯონ ვან ტილბურგის** განცხადებით, ეს კვლევა რადიკალურად ცვლის იმ მოსაზრებას, რომ **რანო-რარაკუს** საბადოში მდგარი ქანდაკებები უბრალოდ ტრანსპორტირებას ელოდებოდნენ.

მისი თქმით, რანო-რარაკუში ქანდაკებებს თავად კარიერის წმინდა გარემოს შესანარჩუნებლად აღმართავდნენ და ასე ტოვებდნენ. მოაი წარმოადგენდა ნაყოფიერების იდეის ცენტრალურ ნაწილს, რაპა-ნუის (აღდგომის კუნძულის ადგილობრივი სახელწოდება) ხალხს სჯეროდა, რომ იქ მდგარი ქანდაკებები სოფლის მეურნეობის მოსავლიანობას ზრდიდა.

კვლევა Journal of Archeological Science-ში გამოქვეყნდა.
მომზადებულია newsroom.ucla.edu-სა და ScienceAlert-ის მიხედვით.

ქართული ლიტერატურა უცხოელთათვის

17 ქართული წიგნი, რომელიც 2020 წელს უცხოურ ენაზე ითარგმნება

უცხოელი გამომცემლებისთვის გამოცხადებული მთარგმნელობითი პროგრამის „ქართული ლიტერატურა თარგმანებში“ 2020 წლის პირველი სააპლიკაციო პერიოდის ფარგლებში შემოსული განაცხადებიდან, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, მწერალთა სახლი 17 საერთაშორისო პროექტს დააფინანსებს.

ეს პროექტებია:

საფრანგეთი

გრიგოლ რობაქიძე – „გველის პერანგი“ – Ginkgo Editeur / SARL TI Communication;

პაატა შამუგია – „შიზო ლექსები“ – La Traductiere;

ბასა ჯანიკაშვილი – „გაბრაზებული ჩიტი“ – L'Espace d'un instant (Maison d'Europe et d'Orient);

გერმანია

არჩილ სულაკაური – „სალამურას თავგადასავალი“ – Handrick Verlag;

დათო ტურაშვილი – „სხვა ამსტერდამი“ – Weidle Verlag;

ბექა ადამაშვილი – „ამ რომანში ყველა კვდება“ – Verlag Voland & Quist;

ეგნატე ნინოშვილი – „მოთხრობების კრებული“ – POP-Verlag Ludwigsburg;

გიორგი კაკაბაძე – „ფიროსმანი“ – Dr. Ludwig Reichert Verlag;

ავსტრია

თამარ თანდაშვილი – „მატერიკონი“ – Residenz Verlag;

შვეიცარია

თათია ნადარეიშვილი – „ბამბუკის ტევრში“ – Baobab Books;

დიდი ბრიტანეთი

ნანა ექვთიმიშვილი – „მსხლების მინდორი“ – Pierene Press Ltd;

ბექა ადამაშვილი – „ბესტსელერი“ – Dedalus Limited;

საბერძნეთი

ბესიკ ხარანაული – „ხეიბარი თოჯინა“ – Vakxikon Publications;

ახალგაზრდა ქართველი პოეტების ანთოლოგია – Vakxikon Publications;

ლატვია

მალხაზ ჯაჯანიძე, არტურ იურკევიჩი – „დამარხული ვაზი“ – Janis Roze Publishers;

უკრაინა

გიორგი კეკელიძე – „მინიატიურები“ – Publishing and Printing House PE „TES“;

მაკედონია

ეკა ტაბლიაშვილი – „პატარა ობობას საათი“ – Publishing House Prozart Media.

მადამ ტიუსოს მუზეუმიდან პრინცი ჰარისა და მეგან მარკლის ქანდაკებები აიღეს

მუზეუმის ხელმძღვანელებმა ეს გადაწყვეტილება წყვილის მხრიდან სამეფო ოჯახის „მაღალი რანგის“ წევრების სტატუსზე უარის თქმის შემდეგ მიიღეს.

ლონდონში მდებარე მუზეუმში სამეფო ოჯახის წევრებისთვის სპეციალური ადგილი იყო გამოყოფილი. სასექსის ჰერცოგის და ჰერცოგინიას ქანდაკებები დედოფალი ელიზაბეტის და პრინცი ფილიპის, ასევე პრინცი უილიამის და მისი მეუღლე ქეით მიდლტონის გვერდით იყო განთავსებული. თუმცა წყვილის გადაწყვეტილების შემდეგ მუზეუმის ხელმძღვანელობამ პრინცი ჰარის და მეგან მარკლის ქანდაკებების აღება გადაწყვიტა. ჯერ უცნობია, განათავსებენ თუ არ წყვილის ქანდაკებას მუზეუმში სხვა ლოკაციაზე.

პრინცი ჰარისა და მეგან მარკლის ქანდაკებები მადამ ტიუსოს მუზეუმში გასული წლის 9 მაისს, წყვილის სამეფო ქორწილამდე 10 დღით ადრე განათავსეს.

დი კაპრიომ მთვრალი მეზღვაური გადაარჩინა

მსახიობმა ლეონარდო დი კაპრიომ გადაარჩინა ადამიანი, რომელმაც 11 საათი ზღვაში გაატარა.

მსახიობი მეგობრებთან და შეყვარებულთან ერთად კარიბის ზღვაში საკუთარ იახტაზე ისვენებდა, როცა რაციით სხვა გემის კაპიტნისგან შეტყობინება მიიღო.

მან მსახიობს უთხრა, რომ მისი ეკიპაჟის 24 წლის წევრი, რომელიც ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, ზღვაში გადავარდა. დი კაპრიოს იახტის გარდა რაიონში სხვა გემი არ იმყოფებოდა. მსახიობი ინციდენტის ადგილზე მივიდა და ბორტს მიღმა გადავარდნილი ფრანგი მეზღვაური გადაარჩინა.

თვითმხილველების ცნობით, დი კაპრიომ მეზღვაური დროულად გადაარჩინა, რადგან მალევე შემთხვევის ადგილას ძლიერი შტორმი დაიწყო.

დედა შვილის სიყვარულმა გადაარჩინა

ოპერაციის განმავლობაში დედის გულთან იყო მიხუტებული, წარმოდგენაც არ მინდოდა, როგორ გადაიტანდა ეს არსება დედის სიკვდილს - ამ წარწერით გამოქვეყნდა სოციალურ ქსელში პატარა კოალასა და მისი სიკვდილის პირას მყოფი დედის ემოციური ფოტო, რომელსაც სოციალურ ქსელში დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

ავსტრალიაში კოალა ლიზისა და მის პატარა ფანტომის, მანქანა დაეჯახა. საბედნიეროდ, ექვსი თვის კოალას მსუბუქი დაზიანება აღმოაჩნდა, თუმცა მის დედას გადაუდებელი ოპერაცია დასჭირდა. ავარიისას დაშავებული კოალა ცხოველთა ვეტ-ჰოსპიტალში სასწრაფო ოპერაციის ჩატარების მიზნით გადაიყვანეს, მაგრამ შვილი დედას ვერ მოაშორეს, ამიტომ ოპერაციის მსვლელობისას პატარა არსება დედას გულზე ჰყავდა მიხუტებული.

საბედნიეროდ, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა.

ავსტრალიაში აქლემების დახოცვის ოპერაცია დაიწყო...

ავსტრალიაში 10 000 აქლემის დახოცვის ოპერაცია დაიწყო. რეგიონის სამხრეთ ნაწილში მიმდინარე ოპერაციაში მონაწილეობას სნაიპერები იღებენ. ისინი ხუთი დღის განმავლობაში ვერტმფრენების საშუალებით 10 000 აქლემს დახოცავენ.

ოპერაცია შტატის სამხრეთ ნაწილში, ანანგუს დასახლებასთან ტარდება. აღნიშნულ რეგიონში 2 300 აბორიგენი ცხოვრობს. ოპერაციის პირველ დღეს სნაიპერებმა 1 500 აქლები დახოცეს.

აქლემების დახოცვის მიზეზად მათი რაოდენობის სწრაფი ზრდა და დასახლებული პუნქტებისკენ გადაადგილება სახელდება, რის გამოც ცხოველები წყლის სისტემას საფრთხეს უქმნიან. ამასთან ერთად, როგორც აღინიშნა, აქლემები ინფრასტრუქტურას აზიანებენ.

კიდევ ერთ მიზეზად აქლემების მიერ სათბურის აირების გამოყოფა სახელდება. ექსპერტების შეფასებით, აქლემები წელიწადში ტონამდე ნახშირორჟანგს გამოყოფენ.

ავსტრალიაში მილიონი აქლემი ბინადრობს. ცხოველების ეს რაოდენობა ჰაერს წელიწადში 400 000 მანქანის მსგავსად აბინძურებს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყურადღება!
„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მაცნე“
599 982777
„პლანეტა ფორტე“
579 799908

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8870; ევრო - 3.2077;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7655;
100 რუბლი - 4.7174; თურქული ლირა - 0.4914;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6974;
1000 სომხური დრამი - 6.0209.

ამინდი 11 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-2,	დღე	+8
მთიანი რაიონები -	ღამე	-7,	დღე	+6
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+1,	დღე	+11
მთიანი რაიონები -	ღამე	-3,	დღე	+7
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+7

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge